თეიმურაზ ნაკაშიძე

„ცვლილებათა წიგნი“

XXI საუკუნეში



თბილისი 2024

„ცვლილებათა წიგნი“ XXI საუკუნეში

თეიმურაზ ნაკაშიძე

„ცვლილებათა წიგნი“ XXI საუკუნეში



გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2024

განიხილება ძველი ჩინური „ცვლილებათა წიგნის“ უძველესი ფენა. დიდი ყურადღება ექცევა მისი გრაფიკული ნაწილის – ტრიგრამების და ჰექსაგრამების – სტრუქტურას. ამ ძველ ჩინურ წიგნზე ახალი ხედვის საფუძველია ტრიგრამების ორიგინალური თეორია, რომელიც აკავშირებს მათ მატერიის მოძრაობათა ფორმებთან. მტკიცდება, რომ „იძინგი“ სამეცნიერო წიგნია და მოყვანილია ინფორმაცია იმ ბუნებრივ მოვლენებზე, რომელიც შეიძლება გამოვიტანოთ მისი ტექსტიდან.

სტუდენტი სინოლოგებისთვის და ყველასთვის, ვისაც აინტერესებს აღმოსავლური ფილოსოფია.

The ancient layer of the old Chinese „Book of Changes“ is discussed. Much attention is paid to the structure of its graphic part – trigrams and hexagrams. The new vision of this ancient Chinese book is based on the original theory of trigrams, which relates them to the basic forms of motion of matter. It is claimed that I Ching is a scientific book and it is shown what information about natural phenomena can be extracted from its text.

For students-sinologists and anyone interested in Eastern philosophy.

討論中國古代《週易》的古層。 人們非常關注其圖形部分的結構——卦象和卦象。 這本中國古書的新視野的基礎是原始的八卦理論，它將八卦與物質運動的基本形式聯繫起來。 據稱，《易經》是一本科學書籍，它表明可以從其文本中提取有關自然現象的資訊。

適合學生漢學家和任何對東方哲學有興趣的人。

ტექნიკური რედაქტორი: კახაბერ რუსიძე

უაკ 1(315)
ნ–215

წიგნი გამოიცემა ავტორის ხარჯით.

© თეიმურაზ ნაკაშიძე, 2024

ISBN 978-9941-34-533-3

წინასიტყვაობა

ზუსტად 100 წლის წინ გამოიცა „იძინგის“ ანუ „ცვლილებათა წიგნის“ გერმანული თარგმანი, გაკეთებული რიჰარდ ვილჰელმის მიერ. ეს მომენტი ითვლება დასავლეთში ამ ძველი ჩინური წიგნის მეცნიერული გააზრების დასაწყისად. ამის შემდეგ გამოვიდა ასზე მეტი თარგმანი ძირითად ევროპულ ენებზე. ამავე დროს ქართულ ენაზე „იძინგის“ არათუ თარგმანის, არც რაიმე ღირებული კომენტარის მცდელობაც კი არ ყოფილა. წინამდებარე წიგნი ეცდება ნაწილობრივ შეავსოს ეს ხარვეზი. როგორც პირველი ცდა, ეს წიგნი არაა თავისუფალი შეცდომებისგან და სავარაუდოდ გამოიწვევს მრავალმხრივ კრიტიკას: ფილოსოფოსების და ისტორიკოსების, არქეოლოგების და კულტუროლოგების მხრიდან. ფილოლოგს არ მოეწონება ფორმულები და სქემები. ფორმულების, დიაგრამებისა და ცხრილების სიმრავლემ შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს ზუსტი მეცნიერებების წარმომადგენლები, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება ავტორიც. მაგრამ ეს სამეცნიერო ინსტრუმენტი არ გამოიყენება როგორც ერთგვარი მათემატიკური „გამღები“; ის საჭიროა ძველი ჩინური წიგნის იმანენტური მნიშვნელობის უფრო მკაფიოდ გამოხატვისთვის.

ყველაზე მეტად განრისხდებიან სინოლოგები, რომლებიც ჩათვლიან ამ წიგნს მათი ეპარქიის ხელყოფად, მითუმეტეს არასპეციალისტის მხრიდან. თუმცა ბოლო დროს გამოჩენილი მრავალი თარგმანი და კომენტარი აჩვენებს განსაკუთრებულ ინტერესს „იძინგისადმი“ ფიზიკოსების მხრიდან.

მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩინური ფილოსოფიის და კულტურის მრავალი მოყვარულისთვის ეს წიგნი საინტერესო და სასარგებლო იქნება. ამან უბიძგა ავტორს ამ წიგნის დაწერა. ავტორი ხელმძღვანელობდა დიდი სინოლოგის, აკადემიკოს ვ. ალექსეევის მოსაზრებით, რომ „...ფიქრები „იძინგზე“ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი თარგმნა“.

ავტორი უხდის უღრმეს მადლობას საქართველო-ჩინეთის კულტურის ცენტრის „აბრეშუმის გზის“ პრეზიდენტს, საქართ-

ველოში სინოლოგიის ფუძემდებელს პროფესორ მ. ლიუ-ყან-დარელს ამ ნაშრომისადმი მრავალწლიანი მუდმივი ინტერესის და მრავალმხრივი დახმარებისთვის.

მიმოწერა „იძინგით“ დაინტერესებულ ვირტუალურ მეგობრებთან სხვადასხვა ქვეყანაში მაჩვენა მისი მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოში.

ეს წიგნი ისახებოდა და იზრდებოდა ჩემს ახლობლებთან მუდმივ ურთიერთობაში, მინდა გადავუხადო მათ დიდი მადლობა მოთმინების და ყველანაირი მხარდაჭერისთვის.

ზაფხულის მზებუდობა, 2024 წ.

შესავალი. ცოტა რამ „იძინგის“ შესახებ

„იძინგი“[1] ანუ „ცვლილებათა წიგნი“ ერთ-ერთი ყველაზე ძველი ჩინური კლასიკური წიგნია, პირველი კონფუციანური კანონიკური ხუთწიგნეულიდან. ჩინელები მას აგრეთვე „დაო დეძინთან“ და „ჯუანძისთან“ ერთად მოიხსენიებენ ტრიადაში „სამი იდუმალი თხზულება“[2], ანუ ის აერთიანებს ჩინური ფილოსოფიური აზროვნების კონფუციანურ და დაოსურ მიმართულებებს.

მრავალი წლის განმავლობაში ის იყო მეცნიერების და პოეტების, ფილოსოფოსების და მხედართმთავრების შთაგონების წყარო. მას მიეძღვნა ვრცელი კომენტატორული და მთარგმნელობითი ლიტერატურა. უკვე ხანის ეპოქაში მასზე იყო დაწერილი 300 წიგნი, 1715 წლის საიმპერატორო გამოცემაში მოყვანილია 218 მეცნიერის კომენტარი. ბოლო წლებში შეიმჩნევა ინტერესის სწრაფი ზრდა „იძინგის“ მიმართ როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. დაბეჭდილია ათასობით წიგნი, გამოიცემა სპეციალური ჟურნალი „თჰე ᾕრაცლე“, ჩინეთში შანდუნის პროვინციაში[3] და პარიზში მუშაობენ „იძინგის“ შემსწავლელი ინსტიტუტები.

1 https://ctext.org/book-of-changes

2 Большой китайско-русский словарь, Ред. И.М. Ошанин, т.т.1-4. 1984-1986.

3 https://zhouyi.sdu.edu.cn/index.htm

ბუნებრივია, რომ ამ წიგნს მეტი ყურადღება ეთმობოდა აღმოსავლეთში, განსაკუთრებით ჩინეთსა და იაპონიაში. „იძინგის“ კომენტირების ისტორია ითვლის 2,5 ათას წელს. კონფუცის „ათი ფრთის“ შემდეგ „იძინგის“ შესწავლის სერიოზული სკოლები იყო ხანის ეპოქაში (დაოსური, ვან ბი[4]) და სუნის ეპოქაში (ნეოკონფუციანელთა ბრწყინვალე პლეადა). ჩინელები ასე აფასებდნენ ძველი წიგნების გააზრების მნიშვნელობას: „ახალი წიგნის დაწერა დიდი საქმეა, რომელიც შერჩება ათას შემოდგომას; ძველი წიგნისადმი კომენტარის დაწერა დიდი გმირობაა, რომელიც შერჩება ათი ათას საუკუნეს“[5].

„იძინგის“ დასავლურ გააზრებას თითქმის სამი საუკუნის წინ საფუძველი ჩაუყარეს მისიონერმა ბუვემ და დიდმა ფილოსოფოსმა ლაიბნიცმა. პირველი ლათინური თარგმანის შემდეგ უკვე XIX საუკუნეში გაჩნდა ინგლისური და ფრანგული თარგმანები.

დასავლეთში „იძინგის“ მეცნიერული შესწავლა დაიწყო ზუსტად 100 წლის წინ რ. ვილჰელმის გერმანული თარგმანით[6]. მისი წიგნის ინგლისური თარგმანი[7] სხვა ენებზე თარგმანის საფუძველი გახდა. დაახლოებით ამავე დროს პირველად გამოიცა ი. შჩუცკის დამოუკიდებელი რუსული თარგმანი[8], რომელიც გაკეთდა 1937 წელს და სასწაულად გადარჩა მას შემდეგ, რაც მისი ავტორი იყო რეპრესირებული.

ამ დროიდან იწყება თარგმანების უზარმაზარი ნაკადი ძირითად ევროპულ ენებზე – მთლიანობაში დასავლურ ენებზე 100-ზე მეტი თარგმანია. პარალელურად ჩინეთში მიდიოდა

---

4 Петров А.А.. Ван Би. Из истории китайской философии. Труды Института востоковедения, XIII, 1936, М.-Л. 140 с.

5 Чжан Чао. Тени спокойных снов. Эссе. – В сб. Зеркало мира, М., „Книга“, 1984, 240 с.

6 Wilhelm R. I Ging. Das Buch der Wandlungen. Aus dem Chinesichen verdeutscht und erläutert von Richard Wilhelm. 2 Bände. Jena, 1924, Band 1: XIII; 286 S., Band 2: 267 S

7 Wilhelm R./Baynes C. The I Ching or Book of Changes, translated by R. Wilhelm, 1950

8 Щуцкий Ю.К., `Китайская классическая `Книга Перемен~. М.: Изд. вост. лит., 1960, с. 424.

კანონიკური ტექსტის დადგენა და ახლა ყველა თანამედროვე თარგმანი (მაგ. ხუანგი[9]) და კომენტარი (ვან ხუნცი[10]) ემყარება ჩინელი მეცნიერის გაო ხენის ტექსტოლოგიურ გამოკვლევებს[11].

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის და ვრცელი კომენტატორული ლიტერატურის მიუხედავად, „იძინგის“ ტექსტი და შინაარსი ისეთივე ბუნდოვანია, როგორც კონფუცის დროს, რომელიც „ასწავლიდა აშკარად გაუგებრის გაგებას“[12].

„იძინგის“ განხილვის საგანი ისეთივე ყოვლისმომცველია, როგორც დაოს. მაგრამ თუ დაო აღწერს ბუნებას (ზეცას – ადამიანს – დედამიწას), ასე ვთქვათ, ფენომენოლოგიურად, „იძინგი“ უფრო დაწვრილებით აღწერს კონკრეტულ მოვლენებს და პროცესებს – ისტორიულ, გნოსეოლოგიურ, ასტრონომიულ, ასტროლოგიურ, რიტუალურ–ადმინისტრაციულს და ა.შ. რადგან „დაო, რომელიც შეიძლება გამოიხატოს სიტყვებით, არ არის მუდმივი დაო“[13], შეიძლება ითქვას, რომ „იძინგის“ ტექსტის გაუგებრობა პრინციპულია, რადგან ეს არის დაოს სიტყვებით გამოხატვის მცდელობა.

საბედნიეროდ, „იძინგში“ ტექსტის გარდა არის გრაფიკული ნაწილი, 64 ჰექსაგრამა – ექვსი, მთელი (––) და წყვეტილი (– –) ხაზისგან შემდგარი ფიგურა. პირველები დაკავშირებულია სინათლესთან და ტექსტში ისინი მოიხსენებიან როგორც ცხრიანები, წყვეტილი ხაზები დაკავშირებულია სიბნელესთან და მათ ეძახიან ექვსიანებს. ტრიგრამები აიგება ქვევიდან ზევით, ხაზების ნომრებიც იწყება ქვევიდან. ხაზების მიერ დაკავებულ ადგილებს ჰქვია პოზიციები ვეი. კენტი პოზიციები (1, 3, 5) ითვლება სინათლის პოზიციებად, ლუწი პოზიციები (2, 4, 6) – სიბნელის პოზიციებად. ხაზის და პოზიციის თვისებების

---

9 Huang, Kerson, and Rosemary Huang. I Ching. New York: Workman Publishing, 1987, p. 206.

10 ვან ხუნცი, ბაგუას ჯადოსნური კულტურა და თამაშები (ჩინ. ენაზე), პეკინი, 1989, 278 გვ.

11 გაო ხენი, ჯოუი-ს უძველესი კლასიკის ყოვლისმომცველი კომენტარი (ჩინ. ენაზე), 1958

12 Алексеев В. М. Наука о Востоке. М.: Наука, Глав. ред. вост. Лит., 1982, 535 с.

13 Дао Дэ Цзин. Древнекитайская философия, т.1. М., Мысль, 1972. 363 с.

დამთხვევას ჰქვია ხაზების შესაფერისობა. საერთოდ ეს მსოფლიო ძალების სასიკეთო განლაგებაა, თუმცა ყოველთვის როდი საუკეთესო.

გადმოცემის მიხედვით, თავდაპირველად ლეგენდარულმა იმპერატორმა ფუსიმ შექმნა 8 ტრიგრამა, მან მიანიჭა მათ სახელები, აღწერა მათი თვისებები და განალაგა ისინი ქვეყნის მხარეების მიხედვით.

ცხრილი 1. ფუსის ტრიგრამების სისტემა

ტრიგრამა		დასახელება	ხატი	თვისება	ინი/იანი	ორიენტაცია
☰	乾 ციენი	შემოქმედება	ცა	მყარობა	იანი	S.
☷	坤 ქვენი	შესრულება	მიწა	გაცემა	ინი	N.
☳	震 ჭენი	აგზნება	მეხი/ელვა	ძვრადობა	იანი	N.-E.
☵	坎 ქანი	ჩაძირვა	წყალი	საფრთხე	ინი	W.
☶	艮 კენი	ყოფნა	მთა	ურყეობა	ინი	N.-W.
☴	巽 სსუ-ინი	გაწვრილება	ქარი	შეღწევადობა	ინი	S.-W.
☲	离 ლი	შებმა	ცეცხლი	სინათლე	იანი	E.
☱	兌 ტუი	გადაჭრა	ტბა	სიხარული	იანი	S.-E.

უკვე ისტორიულ დროში ჯოუს დინასტიის ფუძემდებელმა ვენ-ვანმა მიაწერა ტრიგრამებს დამატებითი შესაბამისობები ცხოველების, ოჯახის წევრების და სხვათა სახით და გააერთიანა ისინი ჰექსაგრამებში.

ცხრილი 2. ვენ-ვანის ტრიგრამების სისტემა

☰	乾 ციენი	მამა	ცხენი	თავი	იანი	N.–W.
☷	坤 ქვენი	დედა	ძროხა	მუცელი	ინი	S.–W.
☳	震 ჭენი	უფროსი ვაჟი	დრაკონი	ტერფები	იანი	E.

䷳	艮 კენი	უმცროსი ვაჟი	ძაღლი	ხელები	იანი	N.–E.
䷸	巽 სსუ-ინი	უფროსი ქალიშვილი	ქათამი	თეძოები	ინი	S.– E.
䷝	离 ლი	შუათანა ქალიშვილი	ხოხობი	თვალები	ინი	S.
䷜	坎 ქანი	შუათანა ვაჟი	ღორი	ყურები	იანი	N.
䷹	兑 ტუი	უმცროსი ქალიშვილი	ცხვარი	პირი	ინი	W.



სურ. 1. ფუსის და ვენ-ვანის ტრიგრამების ორიენტაცია

ჰექსაგრამების აგება, როგორც ტრიგრამების, იწყება ქვევიდან, და ასევე ვითარდება სიტუაციები და მიმართულია დრო ტრიგრამებში და ჰექსაგრამებში. ვენ-ვანის ჰექსაგრამების სისტემამ მიიღო დასახელება „ჯოუ-ი“: სიტყვა ჯოუ, ერთის მხრივ, აღნიშნავს დინასტიას, მეორეს მხრივ კი ნიშნავს ციკლს, ამრიგად, ჯოუ-ი შეიძლება გავიგოთ, როგორც „ციკლური ცვლილებები“ ან „ციკლური გარდაქმნები“.

ცხრილი 3. იძინგის გრაფიკული ნაწილი

䷀	䷁	䷂	䷃	䷄	䷅	䷆	䷇
䷈	䷉	䷊	䷋	䷌	䷍	䷎	䷏

䷀	䷆	䷌	䷐	䷠	䷡	䷫	䷿
䷅	䷏	䷊	䷢	䷘	䷭	䷾	䷮
䷈	䷇	䷗	䷁	䷒	䷓	�	䷔
䷞	䷟	䷙	䷡	�	�	�	�
䷤	䷶	䷧	䷷	�	�	�	�
䷣	䷵	䷩	䷻	�	�	�	�

„ცვლილებათა წიგნის“ ტექსტურ ნაწილს შეადგენენ ჰექსაგრამების დასახელებები, ჰექსაგრამის და თითოეული ხაზის აფორიზმები, შედგენილი ვენ-ვანის და მისი უმცროსი ვაჟის ჯოუ-გუნის მიერ. აი აფორიზმების რამდენიმე მაგალითი (შჩუცკის თარგმნის მიხედვით): სასიკეთოა შეხვედრა დიდ ადამიანთან. სამხრეთ-დასავლეთში შეიძენ მეგობრებს, ჩრდილო-აღმოსავლეთში დაკარგავ მეგობრებს. სასიკეთოა დიდი მდინარის გადალახვა. დააბიჯებ ვეფხვის კუდს, თუ არ გიკბენს – აღსრულება. როცა დადგება მერვე მთვარე, იქნება უბედურება. სასიკეთოა სამხრეთ-დასავლეთი, არაა სასიკეთო ჩრდილო-აღმოსავლეთი. ცვლიან ქალაქებს, მაგრამ არ ცვლიან ჭას. ახალგაზრდა მელა თითქმის გადავიდა მდინარეზე, მაგრამ დაისველა კუდი – არაფერი სასიკეთო. ვაცი ურქენს ღობესმასში ეჩხირება მისი რქები. სასიკეთო არაა იყო ყაჩაღი, სასიკეთოა მოერიო ყაჩაღს. მეფემ უნდა მიაღწიოს დასავლეთ მთას. სასიკეთოა ციხეების გამოყენება. დაინახავ ტალახში ამოსვრილ ღორს, დაინახავ ეშმაკებით სავსე ეტლს. მოინადირებ სამ მელას, მიიღებ ყვითელ ისარს. საჭიროა დიდი მსხვერპლშეწირვა. ესვრი ხოხობს და დაკარგავ ერთ ისარს. იყავი ქვაზე მაგარი, მაგრამ არა დღის ბოლომდე.

„იძინგის“ ტრიგრამების სისტემის თანამედროვე ხედვა[14] [15] [16]

ვინაიდან ტრიგრამები და ჰექსაგრამები ქმნიან სისტემას, მათი თანმიმდევრობა და ორიენტაცია ძალზე მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, რომ ჩინურად ამ სიმბოლოებს ჰქვია „პა-კუა“, ანუ ყურადღება მახვილდება იმაზე, რომ თითოეული მათგანი რვაელემენტიანი სისტემის წევრია, ანუ ტრიგრამა დასავლურად უნდა თარგმნილიყო სიტყვით ოქტონი, როგორც რვალემენტიანი სისტემის, ოქტეტის, წევრი. ჰექსაგრამებს ჩინურად ეძახიან „ლიუ-ში-სი-კუა“, ანუ თითოეული ჰექსაგრამა 64-ელემენტიანი სისტემის ელემენტია.

სურ. 2. ტრიგრამების თანამედროვე განლაგება

ამავე დროს ყველა დასავლურ ენაზე ამ სიმბოლოთა დასახელებები ამახვილებს ყურადღებას მათ სტრუქტურაზე –

14 თ. ნაკაშიძე, იძინგის ტრიგრამების სისტემის თანამედროვე ხედვა – კრებულში: ჩინეთი ქართველების თვალით, გვ. 124-131, თბ., მერიდიანი, 2013

15 T. Nakashidze, Modern view of the trigrams' system of I Ching – in collection: China through the eyes of the Georgians, pp. 124-131, Tb., Meridiani, 2013

16 https://www.academia.edu/43964332/Teimuraz_Nakashidze_The_modern_view_of_the_trigrams_system_of_I_Ching

სამხაზიან და ექვსხაზიანზე. ვნახოთ, რას იძლევა ტრიგრამების განხილვა როგორც სისტემის, შემდეგ კი გავითვალისწინებთ მათ სტრუქტურას, რაც მოგვცემს სერიოზულ დამატებით ინ-ფორმაციას.

შემდგომში აღვნიშნავთ მთლიან ხაზს 1, წყვეტილს – 0. მი-ვიღებთ ☰ = 111, ☷ = 000, ☳ = 100, ☶ = 010, ☴ = 001, ☲ = 011, ☱ = 101, ☶ = 110. ეს კეთდება არა მხოლოდ ტექსტის აკრეფის გასაადვილებლად; ეს აღრმავებს მათი შინაარსის გაგებას. ტრი-გრამები ჩაიწერება სამნიშნა რიცხვების სახით ოროობით სისტე-მაში. ტრიგრამის ნომერს ასე განვსაზღვრავთ

$$n_i=8 - t_i \quad (1)$$

სადაც t_i არის i-იური ტრიგრამის ($\alpha_1\alpha_2\alpha_3$) რიცხობრივი მნიშ-ვნელობა ათობით სისტემაში:

$$t_i=\Sigma\alpha_i 2^{3-i}=(4\alpha_1+2\alpha_2+\alpha_3) \quad (2)$$

მაგალითად, ტრიგრამა ლი-ს (101) მნიშვნელობაა t = 4x1+2x0+1 = 5 და შესაბამისად მისი ნომერია 8 – 5 = 3. გამოთ-ვლილი ნომრების მიხედვით ტრიგრამები ასე განლაგდებიან:

1. (111), 2. (110), 3. (101), 4. (100),
5. (011), 6. (010), 7. (001), 8. (000). (3)

ასეთივე მიდგომით ჰექსაგრამები გამოისახებიან ექვსნიშნა რიცხვებით. „იძინგის“ ჰექსაგრამების ნომრები გამოითვლება ფორმულით:

$$N_i=64-T_i \quad (4)$$

სადაც T_i არის i-იური ჰექსაგრამის ($\alpha_1\alpha_2\alpha_3\alpha_4\alpha_5\alpha_6$) რიცხო-ბრივი მნიშვნელობა

$$T_i =\Sigma\alpha_i 2^{6-i} = (32\alpha_1+16\alpha_2+8\alpha_3 + 4\alpha_4 +2\alpha_5 +\alpha_6) \quad (5)$$

მაგალითად, ჰექსაგრამის გუი-მეი (110100) რიცხობრივი მნიშვნელობაა

$$T=1x2^5 + 1x2^4 + 0x2^3 + 1x2^2 + 0x2^1 + 0x2^0=52$$

და შესაბამისად ნომერი

$$N=64–52=12.$$

თუ განვიხილავთ ჰექსაგრამას შემდგარს ტრიგრამებისგან i და j, მაშინ მისი ნომერი იქნება:

$$N_{ij}=64 - 8t_i - t_j \quad (6)$$

ეს ფორმულა წინა ფორმულის ეკვივალენტურია: იმავე ჰექსაგრამისთვის გუი-მეი, რომელიც შედგება ტრიგრამებისგან ტუი (№6) და ჭენი (№4)

$$N = 64 - 8x6 - 4 = 12.$$

„იძინგის“ თანამედროვე მკვლევრის, ფიზიკოს ვან ხუნცის წიგნში ჰექსაგრამები განლაგებულია მკაცრი თანმიმდევრობით, რომელიც იწყება ჰექსაგრამით „შემოქმედება“ 111111 (T=63, N=1) და მთავრდება „შესრულებით“ 000000 (T=0, N=64). შეიძლება ითქვას, რომ მის თანმიმდევრობაში ჰექსაგრამები განლაგებულია სერიებად, სადაც „წამყვანია“ შიდა ტრიგრამა: ჯერ მოდის 8 ტრიგრამა შიდა ტრიგრამით „შემოქმედება“ (n=1), გარე ტრიგრამები კი თანმიმდევრულად იცვლება n=1-დან n=8-მდე. შემდეგ მოდის 8 ჰექსაგრამა შიდა ტრიგრამით „ტბა“ (n=2) და თანმიმდევრულად ცვლადი გარე ტრიგრამებით.

11	12	13	14	15	16	17	18
21	22	23	24	25	26	27	28
31	32	33	34	35	36	37	38
41	42	43	44	45	46	47	48
51	52	53	54	55	56	57	58
61	62	63	64	65	66	67	68
71	72	73	74	75	76	77	78
81	82	83	84	85	86	87	88

სურ. 3. ჰექსაგრამების განლაგება ვან ხუნცის მიხედვით

შემდგომში იქნება ნაჩვენები, რომ მეტი აზრი აქვს ჰექსაგრამების განლაგებას სერიებად „წამყვანი“ გარე ტრიგრამით. ასეა განლაგებული ჰექსაგრამები „იძინგის“ ერთადერთ არქეოლოგიურ ტექსტში, რომელიც 1974 წელს გათხრების შედეგად აღმოჩენილია მავანდუიში, ე.წ. „აბრეშუმის იძინგში“. აქ ჯერ მოდის 8 ჰექსაგრამა, რომლებშიც გარე ტრიგრამაა 1 „ცა“, შემდეგი ჰექსაგრამები თანმიმდევრულად მთავრდებიან ტრიგრამებით 7 „მთა“, 6 „წყალი“, 4 „მეხი“, 8 „მიწა“, 2 „ტბა“, 3 „ცეცხლი“, 5 „ქარი“.

11	81	71	21	61	31	41	51
77	17	87	27	67	37	47	57
66	16	86	76	26	36	46	56
44	14	84	74	24	64	34	54
88	18	78	28	68	38	48	58
22	12	82	72	62	32	42	52
33	13	83	73	23	63	43	53
55	15	85	75	25	65	35	45

სურ. 4. ჰექსაგრამების განლაგება „აბრეშუმის იძინგში“

მივუბრუნდეთ ჰექსაგრამების თანმიმდევრობას კლასიკურ „ცვლილებათა წიგნში“ (ცხრილი 3), რომელიც სრულიად სხვანაირია. ტრიგრამების სულ უფრო და უფრო ღრმა „გაგების“ კვალდაკვალ მომდევნო კომენტატორები კიდევ უმატებდნენ ტრიგრამების თვისებებს. მაგ., „იძინგის“ ერთ-ერთი კონფუციანური კომენტარი ასე ჩამოთვლის ტრიგრამების თვისებებს: „ჭენი– მეხი, დრაკონი, შავი და ყვითელი (ზეციური და მიწიური), დიადი გზა, უფროსი ვაჟი, ახალგაზრდა ბამბუკი, ხშირი ლელქაში...“ თანამედროვე ავტორის მიერ მოცემული ტრიგრამების პარალელებიც საკმაოდ საეჭვოდ ჟღერს: „ქანი – ...არხები, მშვილდი, ბორბალი, წითელი, მთვარე, ქურდი, მენავე, ბენზინი, სიზმარი...“[17].

ცალკეული „გარტყმების“ და საინტერესო შედარებების

17 Чжоу Цзунхуа. Дао И-Цзина. Путь к прорицанию. София, Киев, 1996, 368 с.

მიუხედავად, ეს მიდგომა მეთოდოლოგიურად მცდარია. ტრიგრამები ჩინური კორელაციური, მკაცრად სისტემური და დედუქტიური აზროვნების მწვერვალია.

თუ აღვნიშნავთ ტრიგრამებს ასოებით: ციენი – A1, ქვენი – A2, ლი– M1, ქანი– M2, ჭენი – T1, კენი – T2, ტუი –S1, სსუინი– S2, მივიღებთ „ჯოუ ი“-ს ჰექსაგრამების ცხრილს ასეთი სახით:

ცხრილი 4. „ჯოუ ი“-ს ჰექსაგრამათა სისტემა

A1A1	A2A2	T1M2	M2T2	A1M2	M2A1	M2A2	A2M2
A1S2	S1A1	A1A2	A2A1	M1A1	A1M1	T2A2	A2T1
T1S1	S2T2	S1A2	A2S2	T1M1	M1T2	A2T2	T1A2
T1A1	A1T2	T1T2	S2S1	M2M2	M1M1	T2S1	S2T1
T2A1	A1T1	A2M1	M1A2	M1S2	S1M1	T2M2	M2T1
S1T2	T1S2	A1S1	S2A1	A2S1	S2A2	M2S1	S2M2
M1S1	S2M1	T1T1	T2T2	T2S2	S1T1	M1T1	T2M1
S2S2	S1S1	M2S2	S1M2	S1S2	T2T1	M1M2	M2M1

ამ ცხრილზე პირველივე შეხედვით ვამჩნევთ, რომ ჰექსაგრამები განლაგებულია წყვილებად: კენტი და მომდევნო ლუწი. აქედან ჩვენ ვასკვნით ტრიგრამების შემდეგნაირ დაწყვილებას: პირველი ორი წყვილი ისეთივეა, როგორც ფუსის და ვენ-ვანის სისტემაში: 111 „ცა“ – 000 „მიწა“ და 101 „ცეცხლი“– 010 „წყალი“. დარჩენილი ტრიგრამები „ჯოუ ი“-ს ჰექსაგრამათა მთელი სისტემის მიხედვით ცოტა სხვანაირად წყვილდებიან: 100 „მეხი/ელვა“ აღმოჩნდა 001 „მთის“, 011 „ქარი“ კი – 110 „ტბის“ კომპლემენტარული.

ასე რომ ჯოუს დინასტიის „ცვლილებათა წიგნის“ მთელი არქიტექტონიკა მეტყველებს ტრიგრამების ასეთ სისტემაზე (სურ. 2): S – N: „ცა“ – „მიწა“, E–W: „ცეცხლი“ – „წყალი“, NW – „მთა“, NE – „ქარი“, SW – „ელვა“, SE– „ტბა“. პირველი ოთხი ტრიგრამა, ეგრეთ წოდებული „სწორი ტრიგრამა“, გადადის ერთი მეორეში ყველა ხაზის შეცვლისას საპირისპიროზე. ასე დაკავშირებულია ფუსის და ვენ-ვანის ოთხივე წყვილი. დანარ-

ჩენ ჩვენეულ ოთხში ტრიგრამა გადადის თავის კომპლემენტარულ წყვილში ინვერსიით, ანუ ისინი დაკავშირებულია დროის მიმართულების ცვლილებით. ტრიგრამების ორი პირველი წყვილი სიმეტრიულია და ამიტომ არ არის დამოკიდებული დროის მიმართულებაზე.

ტრიგრამებში მთავარია მათი სისტემურობა. არასწორია იმის თქმა, რომ ლი არის ცეცხლი, აღმოსავლეთი, ხოხობი და ა.შ., ქანი კი – წყალი, დასავლეთი, ღორი და ა.შ., არამედ უნდა ვთქვათ, რომ ლი ისეთივე მიმართებაშია ქან-თან, როგორც ცეცხლი წყალთან, აღმოსავლეთი დასავლეთთან, ხოხობი ღორთან და ა.შ. ვინაიდან ტრიგრამები უნივერსალური ყოვლისმომცველი სიმბოლოებია, რომლებიც თავისი კომბინაციებით აღწერენ ყველა მსოფლიო სიტუაციას, მათ უნდა მოვუძებნოთ ყველაზე ზოგადი ცნებები. ამ როლში შეიძლება მოვიაზროთ სამყაროს ოთხი გლობალური მახასიათებელი – მოქმედება (მოძრაობა), მატერია (ნივთიერება), დრო და სივრცე, ამავე დროს თითოეულს შეიძლება ჰქონდეს ორი გამოვლენა – აქტიური, ინტენსიური და პასიური, ექსტენსიური.

ასე, „შემოქმედება“ 111 ინტენსიური მოქმედებაა, „შესრულება“ კი 000 – ექსტენსიური. წყვილი „ცეცხლი“ 101 – „წყალი“ 010 – ცალსახად სუბსტანციონალურია, და ინტენსივობა–ექსტენსიობა აქ ვლინდება, როგორც წვრილი მატერია (სული, გონი) და მკვრივი მატერია (ნივთიერება). საყოველთაოდ მიღებულია ცეცხლის პარალელები აზრთან, ფიქრთან, მაგ., დემოკრიტეს მიხედვით, გონს ქმნიან მრგვალი ცეცხლოვანი ატომები. საინტერესოა, რომ ეს ტრიგრამები ორიენტირებულია ღერძზე აღმოსავლეთი (დუნ) – დასავლეთი (სი), დუნ-სი კი ჩინურად ნიშნავს ნივთს! ამიტომ ამ ორიენტაციას აქვს არა მხოლოდ სუფთა საკლასიფიკაციო მნიშვნელობა, არამედ მასში ჩადებულია გარკვეული აბსოლუტური აზრი. აქვე დავამატებთ, რომ ამავე ღერძზე შეიძლება იყოს ორიენტირებული ბინარული ოპოზიცია ინი – იანი, ანუ ეს ორი საპირისპირო ცნება ასევე პირველ რიგში მატერიალურია, ამიტომ ინი–იანის ენამ მყარად მოიკიდა ფეხი დასავლური სუბსტანციონალური აზროვნების

თეზაურუსში.

ორ დანარჩენ წყვილს გლობალური შესატყვისობა შეიძლება მოეძებნოს მხოლოდ ამ სისტემაში. თუ განვიხილავთ „ელვას“ 100 როგორც წამიერების, მყისიერების სიმბოლოს, „მთას“ 001 კი – მყარობის, ხანგრძლივობის, მარადიულობის, ეს იქნება დროითი წყვილი. და ბოლოს, „ტბა“ 110 ეს რაღაც ლოკალიზებულია, „ქარი“ 011 კი დელოკალიზებული, ანუ ეს სივრცითი წყვილია. ამრიგად, ტრიგრამების წყვილები წარმოადგენენ სამყაროს ოთხ ფორმას, მის ატრიბუტს – მოქმედებას A, ნივთიერებას M, დროს T და სივრცეს S ორ გამოვლენაში – ინტენსიურში და ექსტენსიურში.

ამ ცნებათა სივრცეში ტრიგრამებს შეიძლება შევუსაბამოთ დამატებითი ხატები ან ცნებები.

ცხრილი 5. ტრიგრამების დამატებითი ცნებები

მოქმედება A1 – A2	ცა–მიწა შემოქმედება–შესრულება სინთეზი–ანალიზი	ნივთიერება M1 – M2	ცეცხლი–წყალი გონი–მატერია სული–სხეული კულტურა–ცივილიზაცია ცნობიერება–ქვეცნობიერი გენი–უჯრედი ეიდოსი–მეონი ვირტუალური–მატერიალური
სივრცე S1 – S2	ტბა – ქარი ცხოველი – მცენარე ნაწილაკი – ტალღა ორგანიზმი – გარემო ფიგურა–ფონი	დრო T1 – T2	ელვა–მთა დრო – მარადიულობა მყისიერი დრო–ხანგრძლივი დრო აწმყო–წარსული/ მომავალი აქტუალური დრო – პოტენციური დრო ციკლური დრო – წრფივი დრო რაოდენობა (ასაკი)–რიგი

შედარებისთვის მოვიყვან ასეთ მსჯელობას რ. ვილჰელმის წიგნიდან „იძინგის გაგება“[18]: „ტრიგრამა ქვენი ტრიგრამა ციენის წინააღმდეგია, და თუ მას განვიხილავთ, როგორც დროს, მაშინ ქვენი იქნება სივრცე.... ეს არის სამყაროში წარმოდგენილ წინააღმდეგობათა ძირითადი წყვილი... ეს შეიძლება იყოს ცა და დედამიწა, ან ღმერთი და ბუნება... თუმცა ყველაფერი ცვალებადია, მოძრავი, დენადი, ამიტომ ერთი ხატი შეიძლება მიუთეთებდეს სულიერს, მეორე მატერიალურს...“ ჩვენი მიდგომისგან განსხვავებით აქ ხდება მატერიის მოძრაობის ფორმათა აღრევა.

დასავლური მენტალიტეტისთვის ყველაზე გასაგებია სუბსტანციონალური წყვილი გონი – მატერია. გონის და მატერიის ურთიერთობა ითვლება დასავლური ფილოსოფიის ძირითად საკითხად. იდეალისტურ ფილოსოფიაში ყველაფერი არსებობს გონში, მატერიალური სამყარო კი ითვლება ზეადამიანური გონების შემოქმედების პროდუქტად. დიალექტიკურ მატერიალიზმში პირიქით გონი ითვლება მაღალორგანიზებული მატერიის პროდუქტად. გონის და მატერიის კომპლენენტარობა გვაგონებს დეკარტის res cogitans „მოაზროვნე ნივთს“(!) და res extensa „განფენილ ნივთს“. კულტურის და ცივილიზაციის ოპოზიცია გვაგზავნის ვენ-ვანის დროში, რომელმაც შეცვალა ტრიგრამების წესრიგი და ქვაკუთხედად დააყენა ცეცხლი, ანუ კულტურა (ვენი). კონფუცი წარმოადგენდა „განათლებულ თავად“ ვენ-ვანს ხან როგორც კულტურის მატარებელს, ხან კი როგორც მის განსახიერებას.

მოქმედების ორი სახეობა: თუ პირველი არის შემოქმედება, სინთეზი, მეორეა შესრულება, ანალიზი, ალგორითმი, პროგრამა.

სივრცის ორი სახეობა შეიძლება წარმოვიდგინოთ თანამედროვე ფიზიკა – მათემატიკის შუქზე: დელოკალიზებული, არასტრუქტურირებული სივრცე, სუფთა სათავსი ეს ევკლიდური სივრცეა; ლოკალიზებული, სტრუქტურირებული კი – არაევკლიდური.

---

18 Р. Вильгельм, Г. Вильгельм. Понимание „И Цзин“, М., Алетейя, 1998, 208 с.

ყველაზე ძნელი წარმოსადგენია დროითი წყვილი. ხანგრძლივი, მარადიული დრო, სუფთა ხანგრძლივობა შეიძლება გავაიგივოთ ნიუტონისეულ დროსთან ევკლიდურ სივრცეში. შესაბამისად მეორეა დრო არაევკლიდურ სივრცეში. ზოგი წარმოდგენის მიხედვით, მაკროსამყაროში არაევკლიდური სივრცის მაგალითია ცოცხალი ნივთიერების სივრცე[19], ანუ მყისიერი დრო ცოცხალი ნივთიერების დროა. ცოცხლის განსხვავება არაცოცხლისგან სივრცეში გამოიხატება მეხუთე რიგის სიმეტრიის არსებობაში და მემარჯვენეობა – მემარცხენეობის ასიმეტრიაში, დროში კი – ერთის მხრივ, ბიოლოგიური პროცესების რიტმულობაში, მეორე მხრივ კი – შეუქცევადობაში.

ტრიგრამების ვექტორული წარმოდგენა

თუ დამატებით გავითვალისწინებთ ტრიგრამების სტრუქტურას და წარმოვიდგენთ მათ სამგანზომილებიანი ვექტორების სახით, ელემენტარულ ვექტორებად (ორტებად) აღმოჩნდება T1 (100), T2 (001), M2 (010), ანუ დროის ორი სახეობა და მკვრივი ნივთიერება.

დანარჩენი ვექტორები შედგენილია – სივრცეს ქმნის დრო და ნივთიერება, S1=T1+M2 (110=100+010), S2=T2+M2 (011=001+010), გონს – ორი სახის დრო M1=T1+T2 (101=100+001), შემოქმედება კი გონის და მატერიის A1= M1+M2 (111=101+010) ან დროის და სივრცის ჯამია A1=T1+S2=T2+S1 (111=100+011=001+110).

19 https://www.ng.ru/science/2020-11-24/11_8022_geometry.html



სურ. 5. ტრიგრამების ვექტორული წარმოდგენა

ამრიგად, მყისიერი დროის შემოტანა ქმნის არაევკლიდურ სივრცეს, ანუ შემოაქვს სიცოცხლე, გონი და შემოქმედება. რაოდენ შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა „იძინგის“ ერთ-ერთი კომენტარი „სიციჯუანი“, რომელიც ყველაფრის საწყისს ხედავდა ტრიგრამაში (100) ჭენი (ელვა)!

ტრიგრამები უფრო ღრმად შეიძლება გავიგოთ მათი ოპოზიციების სხვადასხვა მხრიდან გააზრებით: ასე, ოპოზიცია „ნაწილაკი – ტალღა“ ამატებს ჩვენ განხილვას კვანტურ-მექანიკურ ობერტონებს, „ეიდოსი–მეონი“ – იუნგის იდეათა კომპლექსს.

ნივთიერ ტრიგრამებში შეიმჩნევა გონისა და მატერიის თანმიმდევრული დიქოტომია. ამ ტრიგრამების ყველაზე ზოგადი ოპოზიცია არის გონი და მატერია, ცნობიერება და გარე სამყარო. გონის ფარგლებში ამ ტრიგრამებს შეიძლება შევუსაბამოთ ცნობიერება და ქვეცნობიერი. ქვეცნობიერის ორი ძირითადი მომენტიდან – ინდივიდუალური და კოლექტიური – ადამიანის ფსიქიკურ ცხოვრებაში, იუნგის მიხედვით, მთავარ როლს თამაშობს კოლექტიური ქვეცნობიერი, რომელიც წარმოადგენს ფსიქიკის ერთგვარ სხეულს, სფეროს, რომელიც საერთოა ფსიქიკის და გარე სამყაროსთვის. ფსიქიკის უმაღლესი ფენებისთვის ეს უკანასკნელი თამაშობს მატერიის როლს. ტრიგრამა „ქანის“ ჩვენი გაგება, როგორც ქვეცნობიერის, სავსე-

ბით შეესაბამება იუნგის წარმოდგენებს, რომლის სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, ჰექსაგრამა „ქანს“ (გაორმაგებულ ტრიგრამა „ქანს“) ხშირად იღებდნენ მისი პაციენტები, რომლებიც ძალიან იყვნენ დამოკიდებული ქვეცნობიერზე (წყალზე!) და რომლებსაც ემუქრებოდა ფსიქოტიური სიმპტომების წარმოქმნა[20].

ჰექსაგრამების დასახელებათა სისტემა

„იძინგის“ ერთ-ერთ კონფუციანურ კომენტარში „სიცი-ჯუანი“ წერია: „ცვლილებები – ეს ისეთი წიგნია, სადაც ხდება ექვსი ხაზის შერევა, როგორც დროის და საგნების“. ჰექსაგრამების დასახელებები წარმოადგენენ წიგნის პირველ ფენას, ეს კვლევის ცალკე სფეროა. ამჟამად დასახელებები ნათარგმნია მრავალ ენაზე, მხოლოდ ინგლისურენოვანი თარგმნების კორპუსში 50-ზე მეტი დასახელებაა. რა თქმა უნდა, ყველა თარგმანი როდი არის სანდო, ზოგი წარმოადგენს თანმიმდევრულ თარგმანს სხვა ენებიდან. თუმცა მათი ანალიზი იძლევა ინფორმაციას სამსჯელოდ. ზოგი ჰექსაგრამისთვის სხვადასხვა თარგმნებში მოცემული დასახელება პრაქტიკულად ემთხვევა ერთმანეთს – მაგ., ჰექსაგრამა №6 – კონფლიქტი, სასამართლო, დავა, №7 – ჯარი, არმია, №37 – ოჯახი, კლანი. ეს ასევე შეიძლება ვთქვათ ჰექსაგრამებზე №41–№42. ყველაზე ნაკლები ვარიაბელობა შეიმჩნევა ჰექსაგრამისთვის №48 – პრაქტიკულად ყველა თარგმანი ერთხმად წერს „ჭა“-ს.

სხვა ჰექსაგრამებისთვის შეიმჩნევა სხვაობა დასახელებებში, ამასთან ზოგჯერ ისინი იმდენად სცდებიან კონკრეტული ჰექსაგრამის სემანტიკურ ველს, რომ გადაფარავენ სხვა ჰექსაგრამების დასახელებებს. მაგ., №11, №35 და №46 ითარგმნებიან თითქმის სინონიმებით „აღმავლობა“, „ზრდა“, „პროგრესი“, „აყვავება“. ზოგიერთ თარგმანში მოყვანილია დასახელებების ვარიანტები, მაგ., №5 „ლოდინი (კვება)“, რაც ემთხვევა №27 „კვებას“.

---

20 Юнг К.Г. Предисловие к Ицзину – В кн. Йога и Запад, Инициатива, Львов, Airland, Киев, 1994, 230 с.

ყველაზე დიდი ვარიაბელობა არის ჰექსაგრამისთვის №36 – „სიბნელე“, „დაბნელება“, „სინათლის დამარცხება“, „მყვირალა ხოხობი“, „მოწყვლადობა“, „საბოტაჟი“ და „ცენზურა“ (მოყვანილია დასახელებები, რომლებიც გვხვდება ერთზე მეტ თარგმანში).

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ჰექსაგრამების დასახელებების სემანტიკური ველების გადაფარვა, რაც გამოიწვევს მთელი ჰექსაგრამის აზრის დამახინჯებას, საჭიროა მათი სისტემური, სტრუქტურული თარგმანი, ტრიგრამების AMTS თეორიის საფუძველზე, რომელიც განიხილავს ჰექსაგრამებს, როგორც ნივთიერებათა ურთიერთქმედებას დროსა და სივრცეში. ასეთი სისტემური, ფორმალურ-სტრუქტურული მიდგომის თანმიმდევრული გამოყენება იძლევა უფრო სწორი თარგმნის იმედს.

ჰექსაგრამები წარმოადგენენ ტრიგრამების ურთიერთქმედების შედეგს. ზოგ ჰექსაგრამას შეიძლება შევუსაბამოთ სავსებით გასაგები სიტუაციები, რომლებსაც ქმნის მატერიის მოქმედება დროსა და სივრცეში. ზოგი ჰექსაგრამის დასახელებაში ჩანს, მატერიის მოძრაობის რომელი ფორმების ურთიერთქმედებით იქმნება ისინი. მაგ., A – S და S – A ტიპის ჰექსაგრამები წარმოადგენენ ქმედებას სივრცეში ან სივრცის ქმედებას: S2A2–აღმასვლა, S1A2– წინწაწევა, A2S1 –შეერთება, S1A1–წინსვლა, A1S1 –გამოსვლა. M– S ტიპის ჰექსაგრამები – ნივთიერება სივრცეში: M2S2– დამსხვრევა, M2S1–გამოფიტვა, S2M2–ჭა.

თითქმის ყველა ჰექსაგრამას, რომლებშიც ურთიერთქმედებენ სივრცობრივი და დროითი ტრიგრამები, აქვთ აბსტრაქტული მათემატიკური დასახელება: T2S1 ურთიერთქმედება, S2T1 მუდმივობა, S1T2 კლება/შემცირება, T1S2 ზრდა/ გადიდება, T1S1 მიდევნება, S2T2 გამოსწორება, T2S2 დინება/მიმდინარეობა.

ამრიგად, იმისათვის, რომ უფრო ღრმად გავიგოთ „იძინგი“, ავითვისოთ ის დასავლურ თეზაურუსში, უნდა ვთარგმნოთ ჰექსაგრამების დასახელებები სტრუქტურულად, სასურველია

ბერძნულ-ლათინური ფესვების გამოყენებით.

ტრიგრამა A1 არის „შემოქმედება“, „შეერთება“, „ერთობა“, „ერთი“, „სინ-“. მისი კომბინირებით დროით (ქრონ) ტრიგრამასთან T1 იქმნება ჰექსაგრამა A1T1 (№34 „დიდი ძალა“), რომლის დასახელება სტრუქტურულად შეიძლება ითარგმნოს, როგორც „სინ-ქრონ“, ანუ სინქრონია არის ის „დიდი ძალა“, რომელიც უზრუნველყოფს „ცვლილებათა წიგნის“ შემოქმედებით პოტენციალს.

შემდეგ ცხრილში მოყვანილია ჰექსაგრამების ნომრები მათი შემადგენელი ტრიგრამების მიხედვით.

ცხრილი 6. ჰექსაგრამების ნომრები შემადგებელი ტრიგრამების მიხედვით

	ზედა	1, A1	2, S1	3, M1	4, T1	5, S2	6, M2	7, T2	8, A2
ქვედა		☰	☱	☲	☳	☴	☵	☶	☷
1, A1	☰	1	43	14	34	9	5	26	11
2, S1	☱	10	58	38	54	61	60	41	19
3, M1	☲	13	49	30	55	37	63	22	36
4, T1	☳	25	17	21	51	42	3	27	24
5, S2	☴	44	28	50	32	57	48	18	46
6, M2	☵	6	47	64	40	59	29	4	7
7, T2	☶	33	31	56	62	53	39	52	15
8, A2	☷	12	45	35	16	20	8	23	2

ჩინელებისთვის თითოეული ჰექსაგრამა („ლიუ-ში-სი-კუა“) არის 64-ელემენტიანი სისტემის წევრი. მაგრამ ყველა ამ ელემენტის ერთდროულად განხილვა შეუძლებელია, რადგან ადამიანის ოპერატიული მეხსიერება შეზღუდულია: მას შეუძლია ოპერირება ერთდროულად მხოლოდ 7±2 ელემენტით. ამიტომ ჩვენ უნდა განვიხილოთ ჰექსაგრამები მათი დაჯგუფებით 8-ელ-

ემენტიან „ჰომოლოგიურ მწკრივებში“, „წამყვანი“ შიდა ან გარე ტრიგრამით.

ყველა ჰექსაგრამაში, სადაც გარეთ არის მკვრივი მატერია („ხორცშესხმულები“), იგრძნობა რაღაც ზღუდე, დაბრკოლება – A1M2 „ლოდინის აუცილებლობა“, T1M2 – „საწყისი სიძნელე“, T2M2 – „დაბრკოლება“, S2M2 – „ჭა“, S1M2 – „შეზღუდვა“. მაშინ ჰექსაგრამა №8 A2M2 „მიახლოება“ უნდა გავიგოთ არა როგორც გადაადგილება სივრცეში, არამედ რაღაცის მიახლოება, ანუ „აპროქსიმაცია“ (მითუმეტეს, რომ A2 არის გამოთვლა, ალგორითმი, პროგრამა).

სხვა ჰექსაგრამები ოპერაციონალურად აღწერენ უფრო „ეგზოტიკურ“ სიტუაციებს – მაგ., დროის სულს Zeitgeist და კიდევ უფრო ძნელად წარმოსადგენ სივრცის მოქმედებას და დროის მოქმედებას. ასე, ჰექსაგრამა №24 „დაბრუნება“ 100–000 აღმოჩნდა აღორძინების ეპოქის მოდელი, და რაც ყველაზე საინტერესოა, ტიპოლოგიურად საერთო VII–X საუკუნეების ჩინეთის და XIV–XVI საუკუნეების იტალიისთვის. ჰექსაგრამა №16, ვილჰელმის მიხედვით, „შთაგონება“, სტრუქტურულად არის „შესრულება“ „მყისიერ დროში“, რაც შეესაბამება ნაპოლეონის ფორმულას: „შთაგონება ეს სწრაფად გაკეთებული გამოთვლაა“.

ცხრილი 7. ჰექსაგრამების დასახელებათა სისტემა

A1A1 (1) სინთეზი A1A2 (11) დედუქცია A2A1 (12) ინდუქცია A2A2 (2) ანალიზი	A1M1 (14) დიდსულოვნება A1M2 (5) ლოდინი A2M1 (35) პროგრესი A2M2 (8) აპროქსიმაცია
M1A1 (13) ერთსულოვნება M1A2 (36) შიზოფრენია M2A1 (6) დავა M2A2 (7) ჯარი	M1M1 (30) გასხივოსნება M1M2 (63) ცივილიზაცია M2M1 (64) კულტურა M2M2 (29) ორმაგი საფრთხე
S1A1 (10) მოსვლა/დადგომა S1A2 (19) მიდგომა S2A1 (44) შეხვედრა S2A2 (46) ასვლა	S1M1 (38) უთანხმოება S1M2 (60) შეზღუდვა S2M1 (50) სამსხვერპლო S2M2 (48) ჭა
T1A1 (25) უმანკოება T1A2 (24) ანაქრონიზმი T2A1 (33) უკუქცევა T2A2 (15) თავმდაბლობა	T1M1 (21) სულსწრაფობა T1M2 (3) საწყისი სიძნელე T2M1 (56) მომლოცველობა T2M2 (39) დაბრკოლება
A1S1 (43) გამოსვლა A1S2 (9) მცირე აღზრდა A2S1 (45) შეერთება A2S2 (20) ჭვრეტა	A1T1 (34) სინქრონია A1T2 (26) დიდი აღზრდა A2T1 (16) შთაგონება A2T2 (23) უდროობა
M1S1 (49) შეცვლა M1S2 (37) შინაურები M2S1 (47) გამოფიტვა M2S2 (59) დამსხვრევა	M1T1 (55) სიუხვე M1T2 (22) მორთულობა M2T1 (40) ნებართვა M2T2 (4) განუვითარებლობა
S1S1 (58) სიხარული S1S2 (61) შინაგანი სიმართლე S2S1 (28) დიდი უპირატესობა S2S2 (57) წვდომა	S1T1 (54) პატარძალი S1T2 (41) კლება S2T1 (32) მუდმივობა S2T2 (18) გამოსწორება
T1S1 (17) მიდევნება T1S2 (42) ზრდა/გამრავლება T2S1 (31) ურთიერთქმედება T2S2 (53) დინება	T1T1 (51) გაბრწყინება T1T2 (27) კვება T2T1 (62) პატარა უპირატესობა T2T2 (52) მედიტაცია

„იძინგის“ მსხვილმასშტაბიანი სტრუქტურა

ვინაიდან „ცვლილებათა წიგნში“ ჰექსაგრამები განლაგებულია წყვილებად, ფაქტიურად მისი ტექსტი ჩაწერილია 12-ხაზიანი ფიგურების, დოდეკაგრამების, სახით. მაგალითად, ჰექსაგრამებში 11 და 12 მეორდება ლერწმის ხატი: „როდესაც გლეჯენ ლერწამს, დანარჩენი ღეროები მას მისდევენ, რადგან ის იზრდება კონებად“. 41 და 42 ჰექსაგრამებში მოხსენებულია „10 ასხმა მონეტების ღირებულების ორაკული კუ, რომლის მითითებებს თავს ვერ აარიდებ“. ყველაზე აშკარა დოდეკაგრამის მაგალითია ბოლო, შემდგარი ჰექსაგრამებისგან №63 და №64. ძალიან ბევრი საერთო თემაა: მდინარის გადაკვეთა, დასველებული კუდი და თავი, მუხრუჭი და ბორბლები, გალაშქრება ეშმაკების ქვეყანაზე... საგულისხმოა, რომ „იძინგში“ შესაძლო 64 დოდეკაგრამიდან განხორციელებულია მხოლოდ 32. აქედან 28 შემთხვევაში დრო მეორე ჰექსაგრამაში მიდის პირველის საპირისპიროდ და ამრიგად დრო იკვრება. ეს ფორმალური გამოვლენაა ჩინური შეხედულებებისა დროის ციკლურობაზე და წრფივი პროგრესის არარსებობაზე.

კომენტირების ერთ-ერთი ზოგადი პრინციპია, რომ ჰექსაგრამის ზედა, მეექვსე ხაზი წარმოადგენს მასში აღწერილი სიტუაციის გადავითარებას – როდესაც ის კარგავს თავის ტიპურობას ან საერთოდაც საპირისპიროში გადადის. მაგრამ თუ ყურადღებით წავიკითხავთ იმავე შჩუცკის კომენტარს, დავინახავთ, რომ გადავითარება მოხსენებულია ძირითადად ლუწი ჰექსაგრამების (მაგ., 2, 6, 8, 10, 16, 26...) მეექვსე ხაზებზე, ანუ დოდეკაგრამების ზედა ხაზებზე.

არის თუ არა დოდეკაგრამების განლაგება ნებისმიერი? არა, მეზობელ დოდეკაგრამებში შეიმჩნევა ტრიგრამების გარკვეული მიზიდულობა, მათი „რეზონანსი“:



სურ. 6. ტრიგრამების რეზონანსი

საგულისხმოა, რომ სივრცობრივ ტრიგრამებს იზიდავს მკვრივი მატერია (განფენილი ნივთი), დროითს კი – სული. მარეზონირებელი ტრიგრამების რიცხვითი მნიშვნელობები ასეა დაკავშირებული: T110+T011=T010+T111 (6+3=2+7), T100+T001=T101+T000 (4+1=5+0).

„იძინგის“ შექმნის დრო[21]

„იძინგის“ მთარგმნელის რიჰარდ ვილჰელმის ხსოვნისადმი მიძღვნილ გამოსვლაში კარლ იუნგმა გაიხსენა ბრიტანეთის ანტროპოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტის შეკითხვა, როგორ მოხდაო, რომ ასეთმა სულიერად განვითარებულმა ერმა, როგორიც ჩინელებია, არ შექმნა მეცნიერება, რაზეც მან უპასუხა, რომ ეს მცდარი მოსაზრებაა, ჩინელებმა უხსოვარ დროს შექმნეს მეცნიერება, და „იძინგი“ სწორედ მისი საუკეთესო ნიმუშია[22].

გარდა სამეცნიერო წიგნისა, „იძინგი“ აგრეთვე სამკითხაო წიგნია, ორაკულია, მან იცის ყველაფერი, თავის შექმნის დროის ჩათვლით. თუმცა მისი შექმნის ისტორია გაწელილია დროში. ვინაიდან „იძინგის“ ტექსტი არაერთგვაროვანია, მის შექმნას მიაწერდნენ ოთხ ბრძენს: ფუსიმ შექმნა ტრიგრამები, ვენ-ვანმა

21 https://www.academia.edu/43948863/The_ancient_layer_of_I_Ching
22 Юнг К.Г. Феномен духа в искусстве и науке, Собр. Соч. т.15, М.: Ренессанс, 1992, 320 с.

– ჰექსაგრამები და მათი აფორიზმები, ჯოუ გუნმა – თითოეული ხაზის აფორიზმები, კონფუცის კი წილად ხვდა დანართები („ათი ფრთა“).

როგორც „იძინგს“ სჩვევია, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მიუხედავად ის ყოველთვის აქტუალურია. აქაც ასე მოხდა, რადგან პირველი გამოსვლა ამ თემაზე დაემთხვა წელიწადის ყველაზე გრძელ დღეს, მზებუდობას, ეს ასტრონომიული მომენტი კი წარმოადგენს ამ თავის საგანს.



სურ. 7. მშვილდოსანი და ჩინური „ჩამჩა“

განვიხილოთ 55 ჰექსაგრამა Feng „სიუხვე“ შჩუცკის თარგმანის მაგალითზე[23], რადგან მან დაუშვა ყველაზე ნიშანდობლივი შეცდომა და ამავე დროს აჩვენა სწორი გაგების მიმართულება. ეს ჰექსაგრამა სავსეა ასტრონომიული მითითებებით და მთელ მის ტექსტს წითელ ხაზად გასდევს იეროგლიფი 蔀 bu „ფარდები“, რომლებიც „იმდენად უხვია, რომ დღისით შეიძლება დაინახო დიდი დათვი“ 日中見斗 (მეორე და მეოთხე ხაზზე) ან „პოლარული ვარსკვლავი“ 日中見昧 (მესამეზე). ეს ისეთი წარმოდგენის გამოძახილია, თითქოს ბნელი ოთახიდან ან გამოქვაბულიდან შეიძლება ვარსკვლავების დანახვა დღისით.

23 Щуцкий Ю.К. „Китайская классическая „Книга перемен“ (Ицзин)“, „Феникс“, Ростов-на Дону, 1998, 544 с.

რეალურად კი ეს შეიძლება მხოლოდ ძალიან ღრმა (რამდენიმე კილომეტრის სიღრმის) ჭიდან, და ისიც თითო-ოროლა ვარსკვლავის და არა უზარმაზარი თანავარსკვლავედის... ასე რომ ეს ინტერპრეტაცია საფუძველს მოკლებულია. „ფარდების“ მაგივრად ჩვენ უნდა გამოვიყენოთ „bu“-ს მეორე, ძველი, ასტრონომიული მნიშვნელობა – ეს არის 76-წლიანი ციკლი, მთვარის თვეების გარკვეულ თარიღებში განმეორების პერიოდი (დასავლეთში ცნობილი, როგორც კალიპეს ციკლი). ეს ციკლი შეკრულია, თუმცა მის დასაწყისად ითვლება მზებუდობა.

კიდევ ერთ სიტყვას 55 ჰექსაგრამაში აქვს ასტრონომიული მნიშვნელობა 章 zhang „ჭან“ („კაშკაში“); მისი ძველი მნიშვნელობაა – 19-წლიანი ციკლი (დასავლეთში – მეტონის ციკლი). ამრიგად: 來章 „ლაი ჭანი“ („მოხვალ კაშკაშით“) აქ ნიშნავს, რომ დგება 19-წლიანი ციკლი. შესაბამისად, 含章 „ხან ჭანი“ („დამალე შენი კაშკაში“) მეორე და 44-ე ჰექსაგრამაში – ეს „არაცხადი 19-წლიანი ციკლია“. ამრიგად ასტრონომიული მითითებების მთელი კრიტიკული მასაა!

ჰექსაგრამის შინაარსის გასაღებს გვაძლევს მისი აფორიზმი: 宜日中 „მზე უნდა იყოს შუა გზაზე“. მაშინ მეორე და მეოთხე ხაზების აფორიზმები ასე შეიძლევა გავიგოთ: 日中見斗 „მზე შუა გზაზე ხვდება ჩამჩას“. ჩამჩა 斗 (dou) არის ჩინური 28 ეკლიპტიკური თანავარსკვლავედიდან (მთვარის ოცდარვა სამყოფელიდან) ერთ-ერთი, რომელიც ნაწილობრივ ემთხვევა დასავლურ მშვილდოსანს. მოყვანილ სურათზე ჩინურ „ჩამჩას“ ქმნის მშვილდოსნის 6 ვარსკვლავი μ, λ, φ, σ, τ, ζ. დიდი დათვის თანავარსკვლავედი („ჩრდილოეთის ჩამჩა“) აქ არაფერ შუაშია. აღსანიშნავია, რომ dou-ს გაგება, როგორც ჩინური ეკლიპტიკური „ჩამჩის“, იყო ჯ.ლეგის მე-19 საუკუნის თარგმანში[24], სხვები კი მასში ხედავდნენ ყველაზე ცნობილ ჩრდილოეთის თანავარსკვლავედს. მესამე ხაზზე 日中見昧 „მზე ხვდება წყვდიადს/ვარსკვლავთა შხეფებს“ (ბოლო იეროგლიფის სხვადასხვანაირად წაკითხვის გამო), თუმცა ეს ორივე მნიშვნელობა აქ დასაშვებია, რადგან მშვილდოსნის მიდამოებში არის ბევრი ბნელი

24 I Ching. Transl. J.Legg, ed. R. van Over. A Mentor Book.1971. 444p.

ნისლეული და ვარსკვლავგროვები, შჩუცკის მიერ მოყვანილი „პოლარული ვარსკვლავი“ კი აქ არაფერ შუაშია.

მზის შუა გზა ნიშნავს ბუნიობას, ანუ დღეღამტოლობას. ამჟამად ამ წერტილში იმყოფება (ზამთრის) მზებუდობა. ე.ი. იმ მომენტიდან, როდესაც გაკეთდა ეს დაკვირვება, იმდენმა დრომ განვლო, რომ ბუნიობა შეიცვალა მზებუდობით. გამოვთვალოთ დროის ეს შუალედი. ცის რუკაზე ჩამჩის მთავარი ვარსკვლავის (იგივე მშვილდოსნის σ Sgr) პირდაპირი აღმასვლა უდრის 19 საათს (ეპოქა J2000.0), ე.ი. ის დაშორებულია ბუნიობის წერტილს 5 საათით, ანუ 75^0. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბუნიობა წანაცვლდება 1^0-ით ყოველ 70 წელიწადში, ადვილად გამოვთვლით, რომ ეს მომენტი ჩვენგან დაშორებულია 5250 წლით.

თუ გადავთვლით ამ მანძილს ჩვენი დროიდან (2000 წლიდან), მივიღებთ – 3250 წელს, რაც საკმაოდ ახლოსაა იმ თარიღთან, რომელსაც ჩინური ტრადიცია მიაწერს მითიური იმპერატორის ფუსის მიერ ტრიგრამების შექმნას, ძვ.წ. 3322 წელს. აქედან შეიძლება ასეთი დასკვნის გამოტანა, რომ ფუსის დროს შეიქმნა არა მხოლოდ ტრიგრამები, არამედ ტექსტის ნაწილი მაინც, შემდეგ კი ის ზეპირად ან კუს ბაკნებზე წარწერების სახით გადავიდა „ჯოუ ი“-ში.

იმ დროის კიდევ ერთ რელიქტად შეიძლება ჩაითვალოს №19 ჰექსაგრამის აფორიზმი 至于八月 „ჯი იუი ბა იუე“ (შჩუცკის მიხედვით, „როცა დადგება მერვე თვე“). თუმცა პირველი იეროგლიფის ერთ-ერთი მნიშვნელობაა მზებუდობა, ამიტომ ეს ფრაზა შეიძლება გავიგოთ, როგორც „მზებუდობა მერვე თვეში“, ახლა კი ის ყოველთვის მეხუთე თვეშია – აქაც ისეთივე წანაცვლებაა.

მივუბრუნდეთ იმავე ჰექსაგრამას №55. მესამე ხაზზე ფრაზას ისეთივე სტრუქტურა აქვს, მაგრამ ჩამჩის ადგილზე მდგომ იეროგლიფს აქვს მნიშვნელობა „პატარა ვარსკვლავი“.

აქ შეიძლება ნაწილობრივ გამოვიყენოთ წინა თარგმანი – „შუადღეს დაინახავ პატარა ვარსკვლავს“. რა თქმა უნდა, აქაც ფარდები არაფერ შუაშია, დღისით ვარსკვლავები ჩანს მზის დაბნელების დროს. თუ ჩავთვლით, რომ მეორე, მესამე და მეოთხე ხაზები მიეკუთვნება ერთსა და იმავე დროს, მაშინ მთლიანობა-

ში აქ ლაპარაკია მზის დაბნელებაზე დაახლოებით ძვ. წ. 3250 წელს. რა თქმა უნდა, ზუსტი დამთხვევა აქ ძნელად მოსალოდნელია, ცდომილება თავისუფლად შეადგენს ±100 წელს. დროის ამ შუალედში ათეული და ასეული მზის დაბნელებაა. ჩვენთვის საინტერესო მზის დაბნელება მათგან უნდა შევარჩიოთ ასეთი ზღვრული პირობებით: ის უნდა იყოს სრული, ჩანდეს ჩინეთში და მზე იყოს ჩამჩაში (დეკემბრის დასაწყისში). პროგრამა emapwin-ის დახმარებით მოიძებნა რამდენიმე მზის დაბნელება: განსახილველ დროსთან უახლოესია ძვ.წ. 3251 წელს, თუმცა 9 სექტემბერს, რაც არ გამოგვადგება. ბოლოს და ბოლოს, მოიძებნა ასეთი მზის დაბნელება: ძვ.წ. 3218 წლის 2 დეკემბერი.

ამრიგად, მთელი ჰექსაგრამა №55 მიუთითებს გარკვეულ ასტრონომიულ მოვლენას, მზის დაბნელებას ძვ.წ. 3218 წლის 2 დეკემბერს. საინტერესოა, რომ ახალ თარგმანში ამ ჰექსაგრამის კომენტირების დროს ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ დღისით ვარსკვლავები ჩანან მზის დაბნელების დროს, თუმცა იგი მაინც ხედავს მხოლოდ დიდ დათვს[25].

სამი „ი“

ისტორიაში მოხსენიებულია „სამი ი“: გარდა ჯოუს დინასტიის „იძინგის“, აგრეთვე არსებობდა სიას დინასტიის დროინდელი „ლიან შანი“ და შანის დინასტიის დროინდელი „გუი ძანი“. ითვლება, რომ ჯოუს დინასტიის დროისთვის ისინი დაიკარგა. მაგრამ ამ ჰექსაგრამის ანალიზი აჩვენებს, რომ შესაძლოა ამ ტექსტებს შორის გარკვეული მემკვიდრეობა არსებობდეს.

გავიხსენოთ, რომ „იძინგი“ იყო ჩაწერილი ბამბუკის ფირფიტებზე 770 მმ-მდე სიგრძის, რომლებსაც ერქვა „ძინგი“ („საფუძველი“, „კანონი“), კომენტარები კი იწერებოდა უფრო მოკლე ფირფიტებზე, რომლებსაც ერქვა „ჭუანი“[26]. ეს ფირფიტები

25 Lars Bo Christensen, Book of Changes – The Original Core of the I Ching, 2016, 392 p.

26 Федоренко Н.Т. „Древние памятники китайской литературы“. М., Наука, 1978, 320 с.

იყო აკინძული ტყავის თასმებით. გადმოცემის მიხედვით, კონ-ფუცი ისე გულმოდგინედ შეისწავლიდა „იძინგს“, რომ ტყავის თასმები სამჯერ გაუწყდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შემდეგ ამ ფირფიტებს სხვანაირად აკინძავდნენ, ანუ ეს სამი წიგნი – ერთი და იგივეა, და არაფერი არ დაკარგულა!

და კიდევ ერთი, თავისებური მეთოდოლოგიური დასკვნა. ჰ.ჰესე ამბობდა, რომ მას „ესმოდა „იძინგი“ მხოლოდ ნართაულად და ერთი წამით“[27]. ამ ჰექსაგრამის მაგალითზე სჩანს, რომ სხვა მთარგმნელებს და კომენტატორებსაც ასევე ესმოდა ეს წიგნი „გაკვრით და ერთი წამით“. მაგალითად, ვილჰელმი და ვან ხუნცი კი წერენ, რომ ამ ჰექსაგრამაში ლაპარაკია მზის დაბნელებაზე, თუმცა ვერ ელევიან ფარდებს და მოგვითხრობენ ძველ ადათ-წესებს, რომ მზის დაბნელების დროს იყო საჭირო სახლის ჩაბნელება ფარდებით ხალხის დასამშვიდებლად. ვერცერთმა მთარგმნელმა და კომენტატორმა ვერ დაადგინა, რომელი თანავარსკვლავედია dou. ვილჰელმი წერს ზოგადად „პოლარულ ვარსკვლავებზე“, ლეგს კომენტარში მოჰყავს ორი ვარიანტი: „ან დიდი დათვი, ან ჩინური „ჩამჩა“, ყველა დანარჩენისთვის კი ეს ერთხმად „ჩრდილოეთ ჩამჩაა“, ანუ დიდი დათვი. საინტერესოა, რომ თანამედროვე ჩინელი კომენტატორებიც[28],[29] აღიქვამენ იეროგლიფს dou, როგორც დიდ დათვს Ursa Major. ამ თანავარსკვლავედის არასწორი ლოკალიზება არ იძლევა შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. ამავე დროს ისინი ზოგიერთ სწორ აზრს გამოთქვამენ. ამრიგად, საჭიროა რაც შეიძლება მეტი თარგმანის და კომენტარის ნახვა და კრიტიკული გააზრება.

---

27 Г. Гессе, В сб.: Восток-Запад. Исследования, переводы, публикации. Вып. 1, М., Гл. ред. вост. лит. „Наука“, 293 с., 1982

28 ლიუ სიაოცუნი, იძინგი და ადამიანის ცხოვრების სტრატეგია, (ჩინ. ენაზე), გამომც. „ვენლენი“, პეკინი, 1999, 343 გვ.

29 ჩენგ სიდუნი, იძინგი, თარგმანი და კომენტარი, (ჩინ. ენაზე), გამომც. „იუანფანგი“, 2004, 200 გვ.

„იძინგი“ როგორც სამეცნიერო წიგნი

კარლ იუნგი თვლიდა „იძინგს“ ჩინური მეცნიერების სამაგალითო ნიმუშად. ვეცდებით ვაჩვენოთ, რომ „იძინგი“ არ არის მხოლოდ მეცნიერების ნიმუში – ტრიგრამების და ჰექსაგრამების ხარჯზე, და თვით მთელი და წყვეტილი ხაზი ფაქტიურად ორობითი კოდია, არამედ ეს სამეცნიერო ტექსტია, და ლიტერატურაში ის გადის მხოლოდ იმიტომ, რომ სიტყვები, რიცხვები, სიმბოლოები – ყველაფერი აღინიშნება ერთნაირად, იეროგლიფებით. ამით ასევე აიხსნება განსაკუთრებული „იძინგური“ ლოგიკა, რომელსაც აღნიშნავს ბევრი მთარგმნელი და მკვლევარი.

ზემოთ იყო ნაჩვენები, რომ „იძინგის“ ტექსტიდან შეიძლება მკაცრი სამეცნიერო დასკვნების გაკეთება, ანუ ის ამართლებს სამეცნიერო წიგნის წოდებას, კერძოდ, ჰექსაგრამა №55 „ეკლიპსოლოგიის“ თავია. ვნახოთ, კიდევ რა სამეცნიერო ინფორმაცია შეიძლება მივიღოთ „იძინგის“ ტექსტიდან. „იძინგში“ მოხსენიებულია მზე, ცა, მთვარე, თანავარსკვლავედები. მაგრამ ასტრონომიულად შეიძლება იქნას გაგებული ასევე სხვა რეალიები, მაგ., ცხოველები. თითქმის ყველა ცხოველი, რომელიც გვხვდება „იძინგში“, მიეკუთვნება 12 ცხოველისგან შემდგარ ჩინურ ზოდიაქოს („მიწიურ შტოებს“): დრაკონი, ვეფხვი, ხარი, თხა, თაგვი..., ან 28 ჩინურ ეკლიპტიკურ თანავარსკვლავედს: მელა, ხოხობი, ირემი, ჯიქი... თუმცა ზოგჯერ „სილამაზისთვის“ თარგმნიან სხვანაირად, და ადგილი აქვს შეცვლას: ასე, პატარა მღრღნელს 35 ჰექსაგამიდან თარგმნიან, როგორც ზაზუნას ან ვირზაზუნას. შჩუცკის თავის კომენტარში მოჰყავს შეცვლების მთელი ჯაჭვი: მავანი ასაღებდა ზაზუნას, როგორც კურდღელს, თუმცა ის სინამდვილეში აღმოჩნდა ვირთხა, ანუ იგივე ეკლიპტიკური ცხოველი, ჩინური 12-წლიანი ციკლის დასაწყისი.

მცენარეები „იძინგში“ იშვიათად გვხვდება, თუმცა ერთერთ მოხსენიებულ ხეს, ტირიფს, ასევე აქვს ასტრონომიული შესატყვისობა, თანავარსკვლავედი №24.

„იძინგი“ შეიცავს ასტრონომიულ ინფორმაციას აგრეთვე

არაცხადი სახით; მაგალითად, „ციური ღეროების“ – 10 სიმ-ბოლოს, რომელთა კომბინაცია 12 მიწიურ შტოსთან იძლევა 60-წლიან კალენდარს. „იძინგში“ მათგან გამოიყენება სამი, აქედან ერთი, როგორც საკუთარი სახელი, ორი დანარჩენი კი გამოიყენება ორ ერთნაირი სტრუქტურის მქონე წინადადებაში:

先甲三日，後甲三日 (ჰექს.18)

„(იყავი ფრთხილად) სამი დღით ადრე და სამი დღის შემ-დეგ“ და

先庚三日，後庚三日 (ჰექს.57, 5 ხაზი)

„(იფიქრე ამაზე) სამი დღით ადრე და სამი დღის შემდეგ“. განმარტების სახით ფრჩხილებში დამატებულია ზმნები, თითქოს ისინი დაიკარგა, თვითონ ეს მომენტები კი არაა თარგმნილი: 甲 jia პირველ მაგალითში და 庚geng – მეორეში. ეს მომენტები კი არაა შემთხვევითი: jia შეესაბამება აღმოსავლეთს, geng – დასავლეთს. ამრიგად, ეს ფრაზები შეიძლება ასე ვთარგმნოთ: „სამი დღე აღმოსავლეთამდე, სამი დღე აღმოსავლეთის შემდეგ“ და „სამი დღე დასავლეთამდე, სამი დღე დასავლეთის შემდეგ“.

შესაძლებელია ამ ტექსტების ასეთი ინტერპრეტაცია: მთვა-რე ჩნდება დასავლეთში, და ახალმთვარეობისას შეიძლება მოხ-დეს მზის დაბნელება. სავსე მთვარე ამოდის აღმოსავლეთში, და შეიძლება მოხდეს მთვარის დაბნელება. თუმცა, ვინაიდან მზე და მთვარე არ იმყოფებიან ზუსტად ერთ სიბრტყეში, ეს დაბნელებები არ ხდება ყოველ აღმოსავლეთში და დასავლეთში; ძალზე მნიშვნელოვანია მანძილი ორბიტის კვანძიდან, ანუ იმ წერტილიდან, სადაც მთვარე კვეთს ეკლიპტიკას (რაც აღინიშ-ნება დრაკონის ნიშნით, 辰 ჩენი). დაბნელებები შესაძლებელია სამი დღის განმავლობაში კვანძამდე და კვანძის შემდეგ.

მზის და მთვარის დაბნელებების წინასწარმეტყველება იყო ძალიან მნიშვნელოვანი ყველა ძველი ცივილიზაციისთვის, მათ შორის ჩინურისთვისაც. „ისტორიის წიგნი“ („შუძინგი“) მოგვითხ-რობს ნახევრად ლეგენდარული სიას დინასტიის დროინდელ ამ-ბავს ორ კარის ასტრონომზე, რომლებსაც გამორჩათ დაბნელე-ბა, რაზეც ისინი სიკვდილით იყვნენ დასჯილი. ამ დაბნელების შესაძლო მაგალითია ჩვენ მიერ გამოთვლილი ძვ.წ. 2137 წლის

22 ოქტომბრის მზის დაბნელება. არადა, ასეთი მკაფიო მზის დაბნელება, რომელიც ჩინეთის მთელ ტერიტორიას გაწვდა, ძნელად მოსაძებნია. შესაძლოა, ასეთი ჩანაწერები წარმოადგენდნენ თავისებურ „შპარგალკას“ ასტრონომებისთვის.

ჰექსაგრამაში №55 „სიუხვე“ უხვადაა ასტრონომიული ინფორმაცია ცხადი და არაცხადი სახით; გასაკვირია, რომ „იძინგის“ თანამედროვე მკვლევარი ვან ხუნცი თვლის, რომ „მისი გაგება ყველაზე რთულია“. ამ ჰექსაგრამის ანალიზმა აჩვენა, რომ „იძინგის“ უძველესი ფენა დაშორებულია ჩვენგან 5250 წლით, რაც დგინდება დღეღამტოლობის წერტილის წანაცვლებით.

თუკი ფუსის დროს დღეღამტოლობა იყო „ჩამჩის“ თანავარსკვლავედში dou (№8, პირველი ზედა, ჩრდილოეთის კვადრანტში), მაშ სად იყო მაშინ მზებუდობა? წანაცვლებული ეკლიპტიკური წრეწირის მეოთხედით, ანუ 6–7 თანავარსკვლავედით, ის ემთხვეოდა პირველ 角宿jue „რქები“ ან მეორე亢宿 kang „კისერი“ თანავარსკვლავედს. ამ ორივე თანავარსკვლავედს შეესაბამება ცხოველი დრაკონი, (პირველს – ქერცლიანი დრაკონი). პირველი ჰექსაგრამის მეექვსე ხაზი亢龍 უნდა ითარგმნოს უბრალოდ, როგორც „დრაკონის კისერი“, და არავითარი შჩუცკის „გაამპარტავნებული დრაკონი“.

დედუქცია და „დიდი დაღვრა“

სიმა ციანი წერს, რომ „ვენ-ვანმა გაავრცელა/ განავითარა „იძინგი“ 文王演周易. იმავე ზმნასთან 演 დაკავშირებულია სიტყვა დედუქცია, ანუ ვენ-ვანმა დედუქტიურად განავითარა „იძინგი“. ეს სიტყვა აგრეთვე ნიშნავს „დაღვრას“, და „დიდი დაღვრის რიცხვია“ 50, რომელიც შედგება 10-ნიშნა ციკლისგან სუი-იანი, 12-ნიშნა ციკლისგან სუი-ინი და 28 ზოდიაქური თანავარსკვლავედისგან.

ცხრილი 8. ჩინური ზოდიაქო, 10-ნიშნა და 12-ნიშნა ციკლები

1	2	3	4	5	6	7	E.
角jue რქები	亢 kang კისერი	氐 dī, dì ფესვი/ ბურჯი	房 fáng სახლი	心 xīn გული	尾wěi, yǐ კუდი	jī აქანდაზი	
jiāo ქერცლიანი დრაკონი	龍 lóng დრაკონი	氐háo მაჩვი/ ენოტი	房tù კურდღელი	心 hú მელა	尾 hǔ ვეფხვი	bào ჯიქი/ ლეოპარდი	
---	辰 (**5.**chén)	---	卯 (**4.** mǎo)		寅 (**3.**yin)		
---		乙(**2.**yǐ)	---		甲 (**1.**jiǎ)		
8	9	10	11	12	13	14	N.
斗dou ჩამჩა	牛niú ხარი	女nǚ ქალი	虚 xū სიცარიელე	危 wei საშიში/ ციცაბო	室shì ოთახი	壁 bì კედელი	
獬 xiè (მარტორქა ირემი)	牛niú ძროხა	蝙 biān ღამურა	鼠shǔ თაგვი/ ვირთხა	yān, yàn მერცხალი	zhū ღორი		
---	丑 (2.chǒu)	---	子(1. zǐ)		亥 (**12.**hài)		
---	癸 (**10.** guǐ)	---	---	壬(**9.** rén)			
15	16	17	18	19	20	21	W.
kuí თეძოები	娄 lóu (ზღაპრული მაჩვი)	wèi კუჭი	昴 mǎo (პლეადა)	毕 bì ჩოგანბადე	觜 zī **კუ**	cān, shēn (~ორიონი)	
láng მგელი	gǒu ძაღლი	zhì ხოხობი	jī ქათამი/ ფრინველი	wū, wù ყვავი	hóu ანთარი	yuán მაიმუნი	

	戌 (11.xū)		酉 (10.yǒu)		申(9.shēn)		
	辛 (8.xīn)		庚 (7.gēng)			己(6.jǐ)	
22	23	24	25	26	27	28	
井jing ჭა	鬼 guǐ დემონი	liǔ ტირიფი	星 xīng ვარსკვლავი	张宿zhāng ფოთოლი	翼宿yì ფრთა	轸宿 zhěn საზიდავი	S.
àn, hān ტაპირი, გარეული ძაღლი	yáng ცხვარი	麞zhāng არჩვი, ფსიტი/ მუშაკი	馬 mǎ ცხენი	lù ირემი	shé, yí გველი	yǐn ჭიაყელა	
	未 (8. wèi)		午 (7. wǔ)		巳 (6. sì)		
	戊 (5. wù)		丁 (4. dīng)		丙 (3. bǐng)		

ძალიან საგულისხმო მაგალითია 尾宿 „ვეფხვის კუდი“ („კუდი“ – თანავარსკვლავედი №6 მარცხენა კვადრანტში). ის სამჯერ მოიხსენიება მეათე ჰექსაგრამაში და ერთნაირ კონტექსტში 履虎尾 („დააბიჯებ ვეფხვის კუდს“), ანუ დგება რაღაც მომენტი, დგება ვეფხვის კუდი. მომდევნო ფრაზები, შესაძლოა, გვიანდელი ჩანართებია სიტუაციის განვითარებაში – ვეფხვის რეაქცია ამ ნაბიჯზე (!) – გიკბენს თუ არა... ახლო-მახლო იმყოფება მელა心宿 თავისი სველი კუდით – თანავარსკვლავედი №5.

ჩინური აზროვნების კონკრეტულობიდან გამომდინარე ასტრონომიული ნაჭდევები აღინიშნება ცხოველებით, და ყოველთვის შესაძლებელია ჩინური ტექსტების ამბივალენტური წაკითხვა – პოეტურ-მეტაფორული ან საერთოდ საყოფაცხოვრებო. ამიტომაც „ვეფხვის კუდის“ დადგომის ასტრონომიული მომენტი შეიძლება იქნას გაგებული, როგორც დაბიჯება რეალური ვეფხვის კუდზე, დანარჩენის წარმოდგენას კი არ სჭირდება დიდი ფანტაზია...

მზის გზაზე, ეკლიპტიკაზე, „ჩამჩიდან“ საპირისპირო მხარეს იმყოფება თანავარსკვლავედი №22 井宿 „ჭა“. ამრიგად, ფუსის დროს იქ იმყოფებოდა ბუნიობა/დღეღამტოლობა (წლის განმავლობაში 2 ბუნიობა და 2 მზებუდობაა). „იძინგში“ სიტყვა „ჭა“ გვხვდება 12-ჯერ და მხოლოდ და მხოლოდ ჰექსაგრამაში №48 „ჭა“. იქ არის ფრაზა „თითქმის მიაღწევ“, მთარგმნელებს ჰგონია არასაკმარისად მისი დროითი გაგება, და ისინი ინტერპრეტირებენ მას სივრცრობრივად, რისთვისაც სამჯერ უმატებენ სიტყვას „წყალს“, ანუ რაღაც კალენდარულ-ასტრონომიული მომენტის კონკრეტიკა დაიყვანება საყოფაცხოვრებო დონეზე.

ვარსკვლავურ ცაზე მრავალსაუკუნოვანმა დაკვირვებებმა ხელი შეუწყეს ჩინური მეცნიერების განვითარებას, რომლის მიღწევების კვინტესენციაა ჩინური მთვარე-მზისიერი კალენდარი, რომელშიც ასევე ასახულია იუპიტერის (ბრუნის პერიოდი 12 წელი) და სატურნის (30 წელი) მოძრაობა. მთვარის თვეები ამ კალენდარში მხოლოდ ნომრიანია, წელიწადს კი ჰქვია იუპიტერის სახელი „სუი“; ათნიშნა („ციური ღეროების“) წელი-

წადს ჰქვია სუი-იანი, 12-ნიშნა („მიწიური შტოების“) წელიწადს კი სუი-ინი.

იქნა დადგენილი სასიკეთო და არაკეთილსასურველი ნიშნები (თვეები და წლები) იმისდა მიხედვით, სად იმყოფებოდა იუპიტერი წლის დასაწყისში. მაგალითად, არაკეთილსასურველი იყო 9 ადგილით წინ ან უკან მყოფი ნიშნები – კურდღელი ვირთხასთვის, დრაკონი ხარისთვის და ა.შ., სასიკეთო კი 5 ადგილით წინ – ცხენი ხარისთვის, ცხვარი ვეფხვისთვის და ა.შ. ამის შორეული გამოძახილი შეიძლება იყოს სხვადასხვა წელს დაბადებული ადამიანების ურთიერთობის პროგნოზები. აღვნიშნავთ, რომ წლის დასაწყისი მოდიოდა იმ თვის ახალ მთვარეობაზე, რომელიც ყველაზე ახლო იყო ზამთრის მზებუდობასთან.

ბუნებრივია, თუ წანაცვლდებოდა ბუნიობა, ასევე წანაცვლდებოდა მზებუდობაც (საათის ისრის მიმართულებით). ამის კვალად რეგულარულად ხდებოდა საჭირო ახალი წლის დასაწყისის წანაცვლება. უკვე წინარეისტორიულ ეპოქაში ის იქნა წანაცვლებული მთვარის თვეზე კურდღლის ნიშნით 建卯. ესე იგი დასაწყისში ის ყოფილა დადგენილი იმ ნიშნის ქვეშ, რომელიც წინ უსწრებს კურდღელს, ანუ დრაკონის 建辰, რაც მოსალოდნელი იყო, ვინაიდან დრაკონი არის 12 „მიწიური შტოს“ ყველაზე ზოგადი წარმომადგენელი, რომელიც თამაშობს ცვლადის როლს და იღებს მნიშვნელობებს 1-დან 12-მდე. ამრიგად, „დრაკონის კისერი“ და მთლიანად პირველი ჰექსაგრამა მიუთითებს კალენდრის დასაწყისს.

იეროგლიფი 建 jiàn ჩინურ ასტრონომიაში ნიშნავს „ჩამჩის“ თანავარსკვლავედის სახელურის მიმართულებას, რომელიც განსაზღვრავდა მთვარის პირველი თვის დასაწყისს და შესაბამისად, მთვარის წელიწადის გრძელი და მოკლე თვეების წესრიგს, ასე რომ „ჩამჩის“ ასტრონომიული მნიშვნელობა აქაც ჩანს.

მოგვიანებით ახალი წელი იქნა დადგენილი თვეში ვეფხვის ნიშნით 建寅, რაზეც მიუთითებს ფრაზა „ვეფხვის კუდი“. ანუ იმ დროს დრაკონის კისრის როლს ასრულებდა ვეფხვის კუდი. ძვ. წ. XV საუკუნეში ახალი წელი წანაცვლდა თვეზე ძროხის ნიშნით 建丑, ძვ.წ. XI საუკუნეში კი – 建子თაგვის ნიშნით.

ბუნებრივია, ყველა დადგენილი კანონზომიერება ირღვეოდა. აღსანიშნავია, რომ ორი უკანასკნელი წანაცვლება გაკეთდა შანის დინასტიის მიერ. ექტსრაპოლირებით შეიძლება დავადგინოთ, რომ ახალი წელი ვეფხვის ნიშნით დადგინდა ძვ.წ. XIX საუკუნეში, კურდღლის – XXIII, დრაკონის კი – ძვ.წ. XXVII საუკუნეში. მართლაც, ჩინური კალენდრის დასაწყისად ტრადიციულად ითვლება ძვ.წ. 2697 წელი.

იმავე ძვ.წ. XI საუკუნეში ჯოუს დინასტიამ ჩამოაგდო შანის დინასტია. ჯოუს მთავრებს ბევრი პრეტენზია ჰქონდა შანის მიმართ, თუმცა მთავარი იყო ის, რომ „იყო დაკარგული ზეცის ნდობა“, შესაძლოა, წინათ აღწერილი წანაცვლებების გამო. ამ დროიდან გადაწყდა ახალი წლის და 12-წლიანი ციკლის დასაწყისის მიმაგრება თაგვზე. გარდა ამისა, ვენ-ვანმა შეცვალა ტრიგრამების ფუსის („წინარე ზეცის“) წესრიგი – ცენტრალური ადგილიდან (სამხრეთიდან) მან წაანაცვლა ზეცასთან დაკავშირებული ტრიგრამა 111 „შემოქმედება“და მის ადგილზე დააყენა 101 „ცეცხლი“ – სინათლე, განათლება, კულტურა. იგი თვითონ გახდა მათი განსახიერება – „განათლებული თავადი ვენ-ვანი“.

მაგრამ ზეცა არ დგას ადგილზე და ვენ-ვანის დროიდან ის წანაცვლდა კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ფუსიდან ვენ-ვანამდე. ამიტომ ვენ-ვანის ტრიგრამების („მომდევნო ზეცის“) წესრიგი უნდა შეიცვალოს. ტრიგრამების თვისებებიც მოითხოვენ კორექციას: მაგ., ვენ-ვანთან ცეცხლი იყო ინი, წყალი კი იანი...

საინტერესოა, რომ ვენ-ვანიდან ჩვენამდე გავიდა 3100 წელი, და თუ ჩავთვლით, რომ თითო ნიშნით წანაცვლება ხდება 400 წელიწადის გასვლის შემდეგ, რომ არ შეჩერებულიყო წანაცვლება, ამის შემდეგ გავიდოდა 8 ნიშანი და ახლა დადგებოდა წელი დრაკონის ნიშნით, ანუ დაბრუნდებოდა საწყისი სიტუაცია.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული ტრიგრამების სისტემა უმნიშვნელოდ განსხვავდება ფუსის წესრიგისგან, მხოლოდ ფუსის სისტემა ცენტრალურ-სიმეტრიულია, ვენ-ვანის ასიმეტრიული, თანამედროვე კი – დისსიმეტრიული.

ისტორიულად ვენ-ვანთან ყველაზე ახლოსაა კონფუ-ცის დრო; მისი დრო ყველაზე მეტად განსხვავდებოდა ფუსის დროისგან, ამიტომაც კონფუცის უხდებოდა „აშკარად გაუგე-ბარის გაგების სწავლება“. ასე რომ, თუ ფუსი არის თეზისი, ვენ-ვანი და კონფუცი ანტითეზისი, ჩვენ დროში შესაძლებელია სინთეზი.

„იძინგი“ და აღორძინების ეპოქა[30] [31]

ჩინეთის ისტორია და ქრონოლოგია ერთ-ერთი ყველაზე ძვე-ლია მსოფლიოში: სისტემატური ჩანაწერები მიმდინარეობს სამი ათასი წლის განმავლობაში. ამიტომ არ არის გასაკვირი ჩინეთში ისტორიოსოფიის განვითარება. საკმარისია დავასახელოთ სიმა ციენ-ის თეორია, რომელიც ხსნიდა ჩინური დინასტიების მო-ნაცვლეობას მათი მართვის პრინციპების წახდენით. მისი კონ-ცეფცია კონკრეტულ მასალაზეა აგებული; ვეცდებით ვაჩვენოთ, თუ რა ფილოსოფიურ საფუძველს ემყარება მისი კონცეფცია.

ძველი ჩინური წიგნი „იძინგი“ აღწერს მსოფლიო სიტუა-ციებს, შესაბამისად, ისტორიულ პროცესებსაც. მაგალითად, ქვეყნის დაცემას და აღმავლობას ჩინელები ადარებდნენ ორ ჰექსაგრამას – №23 პო „დაქცევა“ და №24 ფუ „დაბრუნება“. მეცხრე საუკუნის გამოჩენილი მწერალი და ფილოსოფოსი ჰან იუი უწოდებდა მის დროს – ტანგის დინასტიას – „ფუკუ“, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ძველი დროის დაბრუნებას“. აკ-ადემიკოსი კონრადი თვლიდა, რომ ტანგის დინასტიის პერი-ოდი იყო ჩინეთის აღორძინების ეპოქა; მან აჩვენა ამ ეპოქის დასახელების სრული დამთხვევა რენესანსთან (აღორძინებას-თან), და აგრეთვე მისი ძირითადი პრინციპის – ჟენი (ადამი-ანურობა) – ევროპულ ჰუმანიზმთან[32].

შევადაროთ ფუკუ ჰექსაგრამა ფუ-ს უფრო დეტალურად.

---

30 თ. ნაკაშიძე, იძინგი და ისტორია – კრებულში: ჩინეთი ჟამთა სივრცეში, გვ. 149-151, თბ., მერიდიანი, 2007

31 https://www.academia.edu/45122908/I_Ching_and_the_Renaissance

32 Н.И.Конрад, Запад и Восток, Глав. ред. вост. лит., М., 1972, 496 с.

ვინაიდან ეს ეპოქა გრძელდებოდა დაახლოებით 300 წელი (618–907), ჰექსაგრამა კი შედგება 6 ხაზისგან, თითოეული ეტაპის ხაგრძლივობა იქნება დაახლოებით 50 წელი. მოვიყვანთ ამ ჰექსაგრამის ჩვენეულ თარგმანს და დავურთავთ მნიშვნელოვან მოვლენებს.

№24, ფუ, დაბრუნება.

1. აღსრულება. შესვლა და გამოსვლა უვნებელია. მეგობრები მოვლენ და შეცდომა არ იქნება. დაბრუნდები თავის გზაზე. დაბრუნება შვიდი დღის შემდეგ. გალაშქრება ნებისმიერი მიმართულებით სასიკეთოა.

საწყისი ცხრიანი: ახლო დაბრუნება. არავითარი სინანული. დასაბამიერი ბედნიერება.

618-665 (ტანგის დინასტიის დაარსება, ჩინეთის გაერთიანება ათწლიანი ომის შემდეგ, ტიბეტთან ომების დაწყება, გაო ძუნის მმართველობა).

2. ექვსიანი მეორე: დაბრუნების შეჩერება. ბედნიერება. 665–705 (ჩინეთის დამარცხება (670), იმპერატორი ქალის უ-ს სახელმწიფო გადატრიალება (684) და ტანგის გაუქმება (690).

3. ექვსიანი მესამე: განმეორებითი დაბრუნება. საფრთხე, მაგრამ შეცდომა არ იქნება.

705–755 (ტანგის დინასტიის აღდგენა (705), მორიგი გადატრიალება და ტანგის მომხრეთა სიკვდილით დასჯა (710), სიუან ძუნის ბრწყინვალე მმართველობა, პოეზიის აყვავება (ლი ბო, დუ ფუ), მაგრამ ბოლოს ან ლუშანის აჯანყება).

4. ექვსიანი მეოთხე. გზა-საშუალო. დამოუკიდებელი დაბრუნება. 755–815 (განუწყვეტელი ჩინურ-ტიბეტური ომები, მანიქეველთა გამოჩენა და გაძევება უკან უიღურეთში).

5. ექვსიანი მეხუთე. დაბრუნების კულმინაცია. შეცდომა არ იქნება. 815–860 (ბუდისტური მონასტრების სეკულარიზაცია (845), მანიქეველთა წიგნების დაწვა, ჰან იუის „მოძრაობა ლიტერატურის ძველი სტილისთვის“, ბაი ძიუის პოეზია.

6. ზევითა ექვსიანი: მცდარი დაბრუნება. იქნება სტიქიური უბედურებები და სოციალური არეულობა. ჯარის მოქმედება ბოლოს გამოიწვევს დამარცხებას. ასეთი ქვეყნის ხელმწიფ-

ისთვის – უბედურება. ათ წლამდე არ შეიძლევა სადამსჯელო ლაშქრობების ჩატარება.

860–907 (კაშხლების ნგრევა ხუანხეზე და წყალდიდობები, აჯანყებები და გლეხთა ომები (ხუან ჩაო), რომლებმაც დაამხეს ტანგის დინასტია).

ჩვენ არ ვახდენდით თარგმანის მორგებას ისტორიულ მოვლენებზე; უბრალოდ იეროგლიფების მნიშვნელობები მათი სემანტიკური ველის ფარგლებში უშვებს ასეთ თარგმანს.

ჩვენი თარგმანის ყველაზე საინტერესო განსხვავება სხვა თარგმანებისგან მეორე ხაზზეა – „პაუზა“, დაბრუნების „შეჩერება“, მაშინ როდესაც სხვა ავტორები მიუთითებენ არაფრის მთქმელ „ბრწყინვალე“, „მშვიდ“ ან „შესანიშნავ“ დაბრუნებას. მესამე ეტაპი არა თანდათანობითი დაბრუნებაა, არამედ არაერთგზის, განმეორებითი დაბრუნება. საინტერესოა, რომ ტანგის დინასტიის ყველაზე სერიოზული გამოცდა – ან ლუშანის აჯანყება – დაემთხვა მესამე, კრიზისულ ხაზს. მეოთხე ეტაპი – არა უბრალოდ სწორი დაბრუნება, არამედ გზა-საშუალო; თავის იდეალის – კონფუციანობის აღორძინებისთვის – ჩინური აღორძინების მოღვაწეებს მოუხდათ „ორ ფრონტზე“ ბრძოლა – ბუდიზმთან და მანიქეველობასთან, ანუ ორ ანტისისტემას შორის გავლა. მეხუთე პოზიცია, როგორც მოსალოდელი იყო, არის სიტუაციის მაქსიმალური გამოვლენა.

რა თქმა უნდა, ისტორიის სტრუქტურირების მხცდელობები, მისი დაყოფა რაღაც ეტაპებად ყოველთვის გამარტივებაა. კიდევ უფრო უმადური საქმეა – რაიმე შედარებების გაკეთება. მაგრამ მაინც ვეცდებით შევადაროთ ამ ჰექსაგრამას იტალიური აღორძინება.

საწყის წერტილად ავიღებთ 1300 წელს, დანტეს შემოქმედებას („შუა საუკუნეების უკანასკნელი პოეტი და ახალი დროის პირველი პოეტი“), იტალიური აღორძინების ეპოქის დასასრული დაახლოებით შეესაბამება 1560 წელს (კონტრრეფორმაცია).

ამრიგად, აღორძინება იტალიაში გრძელდებოდა დაახლოებით 260 წელი. დავყოთ ეს ხანა ექვს ეტაპად: 1300–1350–1390 –1440–1490–1520–1560. შუა მეთოთხმეტე საუკუნე აღინიშნე-

ბა საერთო ჩავარდნით ცხოვრების ყველა სფეროში, რაც გამოწვეული იყო შავი ჭირის პანდემიებით (1348–1349). ამიტომ ხანდახან აღორძინების დასაწყისად მიიჩნევენ 1400 წელს, წინა პერიოდს კი პროტორენესანსს უწოდებენ. მაგრამ, როგორც აჩვენებს ამ ეპოქების შედარება იტალიაში და ჩინეთში, მეორე ეტაპზე შეჩერება კანონზომიერია!

ძირითადი მიღწევები აქაც დაკავშირებულია მეოთხე და მეხუთე ეტაპთან. ჰექსაგრამის მეხუთე ეტაპი ემთხვევა პერიოდს, რომელიც საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც მაღალი აღორძინება. ამ ეტაპის დასასრული აღინიშნება ლეონარდო და ვინჩის და რაფაელის სიკვდილით (1519–20). შემდეგ კი იტალია ხდება განუწყვეტელი ომების არენა, საფრანგეთის, ესპანეთის და გერმანიის პაექრობის ასპარეზი... 1527 წელს დამპყრობლებმა დაანგრიეს რომი, იტალიური ომები დამთავრდა 1559 წელს იტალიის სრული დაქცევით, ქვეყნის ღრმა პოლიტიკური და ეკონომიკური დაცემით; დადგა კათოლიკური რეაქცია: დაარსდა იეზუიტების ორდენი, მოხდა ინკვიზიციის რეორგანიზება, დაიწყო კონტრრეფორმაცია.

ამრიგად, გარეგანი განსხვავებების მიუხედავად – იტალიაში კულტურის აღორძინება ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა სახვით ხელოვნებაში, ჩინეთში კი ლიდერი იყო პოეზია – ჩვენ ვხედავთ გარკვეულ ტიპოლოგიურ შესაბამისობებს აღორძინებათა ეპოქებში VII – X ს.ს. უზარმაზარ ჩინეთის იმპერიაში და XIV–XVI ს.ს. დაქსაქსულ იტალიაში. და ეს კანონზომიერებები ჩადებულია მრავალი საუკუნით ადრე დაწერილ „იძინგში“.

ამ წიგნის დასახელებას ხშირად თარგმნიან, როგორც „ცვლილებათა წიგნს“ და მის კვინტესენციად თვლიან ცვლილებათა უწყვეტობას: „ცვლილებები – აი რა არის უცვლელი“. მაგრამ არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო მისი უნარი მოეძებნა რაღაც კანონზომიერებები ცვლილებებში. თუ ეს კანონზომიერებაა, მას უნდა ემორჩილებოდეს მსგავსი ეპოქები სხვა ქვეყნებში. ვთქვათ, აღორძინების ეპოქა საქართველოში.

ასეთი ეპოქა იყო გამოყოფილი აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის მიერ, ის გახდა პირველი „აღმოსავლური აღორძინებების“

რიგში. მისი დასაწყისი ადვილად დასადგენია– ეს არის 976 წელი, საქართველოს გაერთიანების წელი. თუ დავუშვებთ 50 წლიან სკალის დანაყოფის ფასს, მეორე ეტაპზე, შუა XI საუკუნეში, იქნება დაცემა (დიდი თურქობა), დავით აღმაშენებლის მთელი ცხოვრება მოვა მესამე ეტაპზე (1075–1125). მეხუთე ეტაპი დაემთხვევა თამარ მეფის მმართველობას და რუსთაველის შემოქმედებას, რაც საერთოდ აღიარებულია საქართველოს ოქროს ხანად. მეექვსე ეტაპი აქაც კატასტროფულია – საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ (1225 –1275).

ამრიგად, სამივე ქვეყანაში მეორე ეტაპზე ჩვენ ვხედავთ აღორძინების დაყოვნებას, შეჩერებას, რაც დაკავშირებულია ან შიდა (სამოქალაქო ომი ჩინეთში) ან გარე (დამპყრობლების შემოსევა საქართველოში) მიზეზებთან ან ბუნებრივ ფაქტორებთან (შავი ჭირის პანდემია იტალიაში). მეხუთე ეტაპის კულმინაციას ყველგან მოჰყვება კატასტროფა მეექვსეზე.

დასაწყისში იყო ტაო!

რამდენიმე წლის წინ ჩვენ შევასრულეთ მოგზაურობა დროში და ვეწვიეთ საქართველოს ისტორიულ პროვინციას ტაო-კლარჯეთს. ამ ხანმოკლე, მაგრამ დაუვიწყარ მოგზაურობაში ერთმანეთს შეუერთდა ისტორია და თანამედროვეობა, ქრისტიანობა და დაოსიზმი. იქაურმა თავადებმა ბაგრატიონებმა გახადეს ეს ტერიტორია პლაცდარმად, საიდანაც თანდათანობით დაიწყეს არაბი დამპყრობლების განდევნა, მონაზვნები კი– გრიგოლ ხანძთელი და მრავალი სხვა – ურთულეს პირობებში აშენებდნენ ბრწინვალე ტაძრებს და ქადაგებდნენ ღვთის სიტყვას. ტაო-კლარჯეთიდან (საქართველოს ტერიტორიაზე პირველი სახელმწიფოების – დიაოხისა და კოლხას მემკვიდრის) დაიწყო გზა საქართველოს გაერთიანებისკენ და მის აღორძინებისკენ, თამარ მეფის და რუსთაველის ოქროს ხანისკენ. ამიტომ შეიძლება ვთქვათ, რომ „დასაწყისში იყო ტაო“. მაგრამ ასე იწყება იოანეს სახარების თარგმანი ჩინურ ენაზე. აქ არაა ადგილი სიტყვა-ლოგოსის და უპიროვნო დაოს განსხვავებების განხილვას,

მხოლოდ ერთს ვიტყვი, რომ ამ მოგზაურობის იდეა ეკუთვნოდა მხატვარს და სინოლოგიის პროფესორს – მალი ლიუ-ყანდარელს.

ზემოთ მე დავაკავშირე აღორძინების ეპოქები ჩინეთში (VII–X ს.ს.), საქართველოში (X–XIII ს.ს.) და იტალიაში (XIV–XVI ს.ს.) „იძინგის“ ჰექსაგრამასთან №24 „დაბრუნება“. წინა ჰექსაგრამას №23 „ნგრევა“ აქვს ბევრი საერთო ჩინეთის „ბნელ საუკუნეებთან“ (III–VI ს.ს.) და დაქსაქსულ საქართველოში (VII–IX ს.ს.) არაბი დამპყრობლების ბატონობას, თუმცა მათ ტიპოლოგიზირებას არ ვახდენდი, მახსოვდა რა ტოლსტოის ფრაზა: „ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავს, ყველა უბედური ოჯახი კი თავისებურად უბედურია“. მაგრამ ამ მოგზაურობამ მაჩვენა ის, რაც აერთიანებს არაბულ „წარღვნას“ საქართველოში და ჩინეთის „ბნელ საუკუნეებს“ (ეპოქა ვეი-ლიუჩაო): ეს იყო ყველა სულიერი ძალის უმაღლესი დაძაბვა. 23 ჰექსაგრამის აფორიზმს შჩუცკი თარგმნის ასე: „გასვლა არაა სასიკეთო“, კომენტარში კი წერს: „აქ საჭიროა არა ჟამის პირობებისადმი პასიური დანებება, არამედ მოღვაწეობისგან დაძაბული და მომლოდინე თავშეკავება“. ტაო-კლარჯეთში მონაზვნები აშენდებდენ ტაძრებს, თარგმნიდნენ წმინდა წერილს და ცხოვრობდნენ ქრისტიანული წესებით.

ჩინეთში ტრადიციული დაოსურ-კონფუციანური რელიგიურობა იყო ბლოკირებული ბუდიზმის „იმპორტით“. თუმცა ჩინელებმა ნახეს მისი „შხამსაწინააღმდეგო“, შექმნეს რა ჩან-ბუდიზმი (დაოსიზმის ელემენტებით), ნიჰილისტური ბუდიზმი კი გამოიყენეს, როგორც იდეოლოგიური იარაღი ტიბეტის წინააღმდეგ.

თუ ჩავთვლით, რომ ნგრევის ეპოქა გრძელდებოდა დაახლოებით იმდენივე დროს, როგორც „დაბრუნების“ ეპოქა (ჩინეთშიც და საქართველოშიც – დაახლოებით 300 წელი), მაშინ აშოტ კურაპალატის და გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობა მოვა მესამე ეტაპზე (წმ. გრიგოლის ხაგრძლივი სიცოცხლე ნაწილობრივ ემთხვევა მეოთხე ეტაპსაც), ამიტომ ისინი სტრუქტურულად თამაშობენ იმავე როლს, რაც დავით აღმაშენებელი აღორ-

ძინების ეპოქაში! სიტუაციის მაქსიმალური განვითარება – მეხუთე ეტაპი – იწყება მეცხრე საუკუნის ბოლოდან, როდესაც აშოტ კურაპალატის შვილიშვილმა ადარნასემ პირველად უწოდა თავის თავს საქართველოს მეფე.

თუმცა ეს ჰექსაგრამები მოყვებიან ერთი მეორეს, ნგრევა/გაპარტახება არ იცვლება დაბრუნებით თავის თავად, ანუ აღორძინება არ მოჰყვება თავის თავად დროის მსვლელობას. „დაბრუნებას“ როგორც ჩინეთში, ასევე საქართველოში მოახლოვებდნენ ადამიანები, რომლებიც ტრაგიკული განსაცდელის ჟამს არ ეცემოდნენ სულიერად, არამედ ცდილობდნენ აღეზარდათ თავის თავში გამძლეობა და სიმამაცე, შეენარჩუნებინათ სულიერი სიმტკიცე. ამას საქართველოში ემსახურებოდა ლოცვა, ჩინეთში კი – კალიგრაფია, ლექსთწყობა, ფილოსოფია. ძნელად წარმოსადეგია, შთაგონების რა აღმაფრენას აღწევდნენ იმ ეპოქის პოეტები და მხატვრები!

საუკუნეების მანძილზე მათთვის სამაგალითო იყო წვეულება „ბნელი ძალების განდევნის“ მიზნით, რომელიც მოაწყო გამოჩენილმა კალიგრაფმა ვან სიჯიმ ორქიდეათა პავილიონში 353 წლის მესამე თვის მესამე დღეს. მის მიერ დატოვებული ამ წვეულების აღწერა იყო ლიტერატურის და კალიგრაფიის შედევრი[33]. ვან სიჯის ავტოგრაფი 300 წლის განმავლობაში სათუთად ინახებოდა მისი მემკვიდრეების მიერ. შემდეგ ის მოხვდა ტანგის იმპერატორის ტაიძუნის ხელში (ის თვითონ იყო ლიტერატორი და კალიგრაფი, ვან სიჯის ბიოგრაფიის ავტორი), რომელმაც ისურვა, რომ ეს ხელნაწერი დაკრძალულიყო მასთან ერთად...

იმის მსგავსად, როგორც ნივთიერი ხიდი აკავშირებს სივრცეს, სულიერ ხიდს შეუძლია „დარღვეულ დროთა კავშირის“ აღდგენა!

---

33 Ван Си-чжи, Мы в Павильоне орхидей. Китайская классическая проза в пер. В.М. Алексеева, Изд. АН СССР, М., 1959, 388 с.

ყვითელი გზა

დასავლური ასტრონომია ორიენტირებულია ჩრდილოეთისკენ, ზეცა ჩვენს ტრადიციაში ბრუნავს პოლარული ვარსკვლავის ირგვლივ. ამიტომ ჩვენ ინერციით ასევე ვუდგებით ძველი ჩინური ნაწარმოებების განხილვას. მაგრამ α UMi (პატარა დათვის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი), სულ რამდენიმე ასეული წელია, რაც გახდა პოლარული ვარსკვლავი, ძველად კი სამყაროს ჩრდილოეთ პოლუსის მიდამოებში არ იყო არც ერთი ოდნავ შესამჩნევი ვარსკვლავი. (რაოდენ გასაკვირია, რომ ჩინელებმა მიწიური საშუალებებით შეძლეს სამყაროს პოლუსისკენ მიმართულების დადგენა კომპასის მეშვეობით – აღსანიშნავია, რომ მათ კომპასს ჰქონდა ჩამჩის ფორმა, რომლის სახელური უჩვენებდა სამხრეთისკენ). ჩინელები განარჩევდნენ ცირკუმპოლარულ თანავარსკვლავედებს, თუმცა არ ანიჭებდნენ მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ვინაიდან ისინი, თუმცა ყოველთვის ჩანან, ძლიერ ცვლიან თავის ფორმას არა მხოლოდ წლის, არამედ ღამის განმავლობაში: მაგ., კასიოპეიას „სავარცხელი“ ჩანს ხან როგორც ასო M, ხან – W.

ჩინელები ამახვილებდნენ ყურადღებას ზოდიაქურ ეკლიპტიკურ თანავარსკვლადებზე, რომლებიც კანონზომიერად ამოდიან და ჩადიან და ამიტომ შეიძლება იყვნენ გამოყენებული, როგორც წელიწადის დროთა მარკერები, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩინეთის ოდითგანცე მიწათმოქმედი ცივილიზაციისთვის. იმპეირამდელი და ადრეული იმპერიის დროინდელი რამდენიმე ნაწარმოები – „ლიუიში ჩვენციუ“ (ძვ.წ. 241 წ.), „ხუაი ნანძი“ (ძვ.წ. 139 წ.) და „ში ძი“ (ძვ. წ. 100 წ.) გაჟღენთილია ასტრონომიული ცნობებით; ყველა მოხსენიებული ვარსკვლავების და თანავარსკვლავედების ლომის წილს შეადგენენ სწორედ 28 ეკლიპტიკური თანავარასკვლავედები. ჩინურად ეკლიპტიკა არის ხუან დაო, ანუ ყვითელი გზა.

ყველაზე დაწვრილებითი ტექსტი მოცემულია „ლიუიში ჩვენციუში“, უფრო გვიანდელები იმეორებენ მას თავისი კომენტარებით. „ლიუიში ჩვენციუ“-ში მოცემულია ცნობები წელიწა-

დის თითოეულ თვეზე: რომელ თანავარსკვკლავედში იმყოფება მზე, რომელი თანავარსკვლავედი ჩანს საღამოს და დილას (დაისის და აისის დროს). იმ დროს წელიწადის პირველ თვეს მზე იმყოფებოდა მთვარის მე-13 სამყოფელში (28-დან), გაზაფხულის მეორე თვეს – მე-15-ში, და შემდეგ: მესამე – 17, მეოთხე – 19, მეხუთე – 22, მეექვსე– 24, მეშვიდე –27, მერვე – 1, მეცხრე – 5, მეათე – 6, მეთერთმეტე – 8 და მეთორმეტე – 10. მზის ჩასვლისას ამოდიოდნენ თანავარსკვლავედები, რომლებიც 6–9 სამყოფელით იყვნენ უკან, გამთენიისას – ისეთები, რომლებიც 7–10 სამყოფელით უსწრებდნენ – განსხვავება აიხსნება სხვადასხვა სეზონში დღის და ღამის სხვადასხვა ხანგრძლივობით.

ერთადერთი გამონაკლისია თანავარსკვლავედი, რომელიც „ლიუიში ჩვენციუ“-ს მიხედვით ამოდის მზის ჩასვლის დროს გაზაფხულის დღეღამტოლობის დღეებში: ხუ, „მშვილდი“ (დიდი ქოფაკის და კიჩოს თანავარსკვლავედების ნაწილი) – ეს ზოდიაქური თანავარსკვლავედი არაა. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, იმ დროს გაზაფხულის მეორე თვეს დაისზე უნდა ამოსულიყო თანავარსკვლავედი №23, გუი „დემონი“, რომელიც დაახლოებით შეესაბამება დასავლურ კირჩხიბს.

საერთოდ, „იძინგის“ ფერთა პალიტრა ძალზე ღარიბია: აბსოლუტური რეკორდსმენი, ყვითელი, მოხსენებულია 8-ჯერ, თეთრი – 3-ჯერ, წითელი – 2-ჯერ, და ერთხელაც – შავი, თუმცა იმასაც ზოგი თარგმნის როგორც ლურჯს. მეორე ჰექსაგრამის ბოლო, მეექვსე ხაზი შჩუცკის მიხედვით: „დრაკონები იბრძვიან განაპირას – მათი სისხლი ლურჯი და ყვითელია“, არადა უნდა იყოს „შავი და ყვითელი“. აქ ლაპარაკია ცისა და დედამიწის ბრძოლაზე, ვინაიდან ყვითელი დედამიწის ფერია, შავი კი ცის. ეს აიხსნება იმით, რომ ერთის მხრივ, ძველად ადამიანები ვერ განარჩევდნენ ლურჯს/ცისფერს, მაგ., ჰომეროსთან ზღვა ღვინის ფერისაა, მეორეს მხრივ კი, ცა ჩინელებისთვის იყო შავი, ღამის ცა, ინფორმაციის უშრეტი წყარო.

ცის აღმოსავლეთის კვადრანტს განაგებდა ლაჟვარდოვანი დრაკონი. ახლანდელი, ფართოდ გავრცელებული ფერები– ლურჯი/მწვანე, წითელი, ყვითელი, თეთრი, შავი – წარმოად-

გენენ არა ცისარტყელას, ისინი დაკავშირებულია 5 სტიქიასთან უ სინ, ისინი უბრალოდ ცვლიან 10-ნიშნა ციკლს სუი-იანი.

ეკვინოქსი

ეს თავი დაწერილია შემოდგომის დღეღამტოლობის დღეს. ოდესღაც მე ვიხუმრე, რომ ძველმა ჩინელებმა დაწერეს მრავალი ნაწარმოები სახელწოდებით „ჩვენციუ“ („გაზაფხულები და შემოდგომები“), ახლა კი ახლანდელ ბრძენ-პოლიტიკოსების დროს მხოლოდ „ზამთრები და ზაფხულებია“. აღმოჩნდა, რომ ამ ხუმრობაში ხუმრობის ძალიან პატარა წილია...

„ჩვენციუ“ არის ძველი ჩინეთის ისტორიის დიდი პერიოდი, რომელიც მოიცავს ძვ. წ. VII-IV საუკუნეებს და ამავე დროს ისტორიული აღწერების მთელი ჟანრი – გაზაფხულები და შემოდგომები, რასაც დასავლეთში თარგმნიან როგორც ანალები ან მატიანე. პირველ რიგში ეს არის ამ ეპოქის კონფუცისეული აღწერა – „ჩვენციუ“, და მისი რამდენიმე კომენტარი, სახელდობრ, „ჩვენციუ ძოჯუანი“ (180 ათასი იეროგლიფის შემცველი), „ლიუიში ჩვენციუ“ და რამდენიმე ნაკლებად ცნობილი თხზულება, დაწერილი სხვა სამეფოებში და სხვა ეპოქებში: „გაზაფხულების და შემოდგომების“ უხვი ცვარი“ (ძვ.წ. II ს.), „უ-ს და იუე-ს სამეფოთა ანალები“ (ჩვ.წ. II ს.), „16 სამეფოს ანალები“ (VI ს.), „10 სამეფოს ანალები“ (XI ს.)

აქცენტი გაზაფხულებზე და შემოდგომებზე კეთდებოდა არა ამ სეზონების კლიმატური მნიშვნელობის გამო (როგორც ამინდის დამახასიათებელი), არამედ მათი ასტრონომიული მნიშვნელობის გამო, რადგან მათთან დაკავშირებულია ბუნიობები (დღეღამტოლობები). ცნობილია, რომ ბუნიობის ახლოს მზის დახრა იცვლება უფრო სწრაფად, ვიდრე მზებუდობისას, როდესაც მზე შუადღეს რამდენიმე დღის განმავლობაში თითქოს დგას ადგილზე (და გნომონის ჩრდილი თითქოს „ტკეპნის“ ერთსა და იმავე ადგილს). ამიტომ ბუნიობები განისაზღვრება უფრო ზუსტად, ვიდრე მზებუდობები, რაც ძალზე მნიშვნელოვანია კალენდრის შედგენისთვის. გარდა ამისა, პრეცესიის (დღეღამ-

ტოლობის წერტილების წანაცვლების) მოვლენის გამო ისინი მარკირებენ დროის უზარმაზარ ინტერვალებს, ასობით და ათასობით წელს, რაც შეიძლება იქნას გამოყენებული ძველი ჩინური წიგნების დასათარიღებლად.

უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ენციკლოპედიურ წიგნს „ლიუიში ჩვენციუ“, ანუ „ბატონ ლიუი ბუვეის გაზაფხულებსა და შემოდგომებს“. მისი ავტორი ძალიან საინტერესო პერსონაჟია, რომელიც სავსებით იმსახურებს ავანტიურულ რომანს. საკმარისია იმის თქმა, რომ მან გამოიყვანა არარაობიდან მომავალი იმპერატორი ცინ შიხუანდი, რომელსაც მეფობა არანაირი კანონებით არ ეკუთვნოდა. ამავე დროს მან მოახდინა თავისი სიმდიდრის „კონვერტირება“ ცინის მეფის პირველი მრჩევლის თანამდებობაში. მაშინდელი სამეფოების მდიდარი ოჯახების მსგავსად, ის არჩენდა მრავალ მეცნიერს (ხანდახან – 3000-მდე!), რომლებიც მას აძლევდნენ თავის თხზულებებს. ამ ჩანაწერების სისტემატიზაციით მან შექმნა იმ დროისთვის უნიკალური თხზულება. ძვ.წ. 241 წელს მან განათავსა თავისი წიგნი ცინის დედაქალაქის სიანიანის ქალაქის კართან და განაცხადა, რომ მისცემდა 1000 ოქროს მას, ვინც შეძლებდა მასში ერთი იეროგლიფის მაინც ჩამატებას ან წაშლას (მათი რიცხვი კი ამ წიგნში 200 ათასს აღემატებოდა!)...

ამ წიგნის ჩვენთვის საინტერესო ნაწილის სტრუქტურა „იაოს კანონის“ და სიმა ციენის „ისტორიული ჩანაწერების“ მსგავსია. მოყვანილია ასტრონომიული (თანავარსკვლავედები) და კლიმატური (სეზონები, დღეღამის ხანგრძლივობა) ფაქტები, და აგრეთვე შესაბამისი ბუნებრივი მოვლენები და ადამიანის საქმიანობა. ეს აღწერები „ლიუიში ჩვენციუ“-ში ძალიან დაწვრილებითია, თითოეულ თვეზე წერია, რომელ ნიშანში და თანავარსვკლავედში იმყოფება მზე, რა თანავარსკვლავედები ჩანს დილას და საღამოს. დაწვრილებით აღწერილია ადამიანის საქმიანობა: როდისაა საჭირო ხნა/თესვა, როდის მოსავლის აღება ან ნადირობა და ა.შ. ხაზგასმულია მეფის ბრძანებების სეზონებთან შესაბამისობის მნიშვნელობა.

მოვიყვანთ მონაცემებს მხოლოდ სეზონების შუა თვეებზე.

გაზაფხულის მეორე თვეს მზე იმყოფება თანავარსკვლავედში კუი (№15-ში 28-დან, პირველში მარჯვენა დასავლეთ კვარდანტში), დღეღამტოლობა. ზაფხულის მეორე მთვარე: მზე დუნძინში (ჭა, №22, პირველი ქვედა სამხრეთ კვადრანტში), ყველაზე გრძელი დღე. შემოდგომის მეორე მთვარე: მზე თანავარსკვლავედში ძიუე (რქები) – პირველში 28 თანავარასკვლავედიდან, პირველში მარცხენა, აღმოსავლეთ კვარდანტში), დღეღამტოლობა. ზამთრის მეორე თვე: მზე დოუ-ში („ჩამჩა“, №8 28-დან, პირველში ზედა, ჩრდილოეთ კვადრანტში), ყველაზე მოკლე დღე.

თუ აღვნიშნავთ ამ წერტილებს ვარსკვლავების ციურ რუკაზე, მივიღებთ, რომ თანამედროვე მდგომარეობები პრეცესიის გამო ლოგიკურად ჩამორჩებიან, თუმცა მხოლოდ 1 საათით, ან 15^0, რაც დაახლოებით შეესაბამება 1000 წელს. შედარებისთვის: ბერძენი ასტრონომების მონაცემებით, ვისგანაც ჩვენ ვიცით პრეცესიის (დღეღამტოლობის წინსწრების) მოვლენის შესახებ, მაშინ გაზაფხულის და შემოდგომის დღეღამტოლობები იყო ვერძის და სასწორის თანავარსკვლავედში, შესაბამისად. მას შემდეგ ისინი წანაცვლდნენ თევზის და ქალწულის თანავარსკვლავედებში, თუმცა აღინიშნებიან ზოდიაქოს წინა ნიშნებით, რაც ნიშნავს წანაცვლებას 2 საათი ან 2000 წელი, რაც ლოგიკურია. მაშ როგორ უნდა გავიგოთ ორჯერ ნაკლები წანაცვლება ლიუი ბუვეის „გაზაფხულების და შემოდგომების“ მიხედვით? ნუთუ ისინი იყო რედაქტირებული სუნის ნეოკონფუციანელთა მიერ, რომლებიც ცხოვრობდნენ ზუსტად 1000 წლის წინ?

კიდევ უფრო გამაოგნებელია სიმა ციენის „ისტორიული ჩანაწერების“ (დაახლ. ძვ.წ. 100 წ.) ანალიზი. ვინაიდან ის უმატებს მხოლოდ ეტოლოგიურ ინფორმაციას (მხეცების და ფრინველების ქცევას), იგი ყვება იმავე პასაჟს „იაოს კანონიდან“, თუმცა ყველგან ცვლის ვარსკვლავს მზით და ნეიტრალური ტექსტის მაგივრად („დღე ტოლია ღამის და ვარსკვლავით სიუიში შეიძლება დავადგინოთ შუა შემოდგომა“) პირდაპირ წერს: „მზე სიუიში – შემოდგომის დღეღამტოლობა“. თუ აღვნიშნავთ ამ წერტილებს ცის რუკაზე, მივიღებთ, რომ დღეღამტოლობები და

მზებუდობები სიმა ციენის ტექსტის მიხედვით არათანაბრადაა განაწილებული: მანძილები მათ შორის უდრის 6, 5, 5 და 8 საათს (90, 75, 75 და 120^0), ლოგიკური 6 საათის ანუ 90^0 მაგივრად. მაგრამ მთავარია ის, რომ შესაბამისი თანამედროვე მდგომარეობებიდან წანაცვლების მიხედვით ამ ჩანაწერების ასაკი გამოდის 8000 წელზე მეტი(!).

„იაოს კანონის“ ანალიზი აჩვენებს, რომ დღეღამტოლობები და მზებუდობები წანაცვლებულია შესაბამის თანამედროვე მდგომარეობებიდან (J2000.0) 2,5 საათით, ანუ 2625 წლით, რაც გვაძლევს ძვ.წ. 625 წელს, ე.ი ისინი შეესაბამებიან მეცნიერებაში მიღებულ დათარიღებას – კონფუცის „გაზაფხულების და შემოდგომების“ პერიოდს.

ცნობილია, რომ ჩინეთის იმპერატორს ერქვა ცის შვილი. მაგრამ მე მას დავარქმებდი ღამის ცის შვილს, რადგან მზე ანათებს დღისით, როცა ისედაც ნათელია, ღამით კი– ო, ინფორმაციის რაოდენ მდიდარი წყაროა ღამის ცა! ამიტომაც ჩინური ტექსტები გაჟღენთილია ასტრონომიული მითითებებით, ცისადმი აპელაციით. იმპერატორის მიერ „ცის მანდატის“ დაკარგვა დინასტიის შეცვლის სერიოზული საფუძველი იყო. საინტერესოა, რომ ცინ შიხუანდიმ შეცვალა ცის შვილის ტიტული და დაირქვა ცის მეფე, ეს ხომ არ გახდა მისი დასასრულის დასაწყისი?

არის ასეთი ჩინური გამოთქმა (ჩენიუი): „ხმლის ძებნა ნავზე ნაჭდევით“: მავანმა დაკარგა ხმალი მდინარეზე გადასვლის დროს და დაკარგვის ადგილის მოსანიშნად მან ნაჭდევი გააკეთა ნავზე. მსგავსი სიუჟეტები არის დასავლეთშიც, მაგ., შილდბიურგერები ასე მალავდნენ ზარს ტბაში... მაგრამ ჩინელები უფრო შორს წავიდნენ და კიდევ უფრო სწრაფმავალი სუბსტანციის – დროის – დამორჩილება შეძლეს, აღნიშნავდნენ რა განსაკუთრებულ დღეებს (დღეღამტოლობებს და მზებუდობებს) და უკავშირებდნენ მათ ვარსკვლავებს. მაგრამ როგორ შეიძლება ამ შეუსაბამობების ახსნა?

მიწისძვრები „იძინგში“

„იძინგის“ ტექსტიდან ჩვენ დავადგინეთ ერთ-ერთი კონკრეტული ბუნებრივი მოვლენის – მზის დაბნელების – ზუსტი თარიღი. კიდევ რომელ მოვლენაზე შეიძლება იყოს მასში მოთხრობილი? რა თქმა უნდა, მიწისძვრაზე, რომელიც ძალიან აქტუალურია ჩინეთისთვის. ჩინურად მიწისძვრა არის 地震 di zhen ან უბრალოდ 震 zhen. ეს კი არის ტრიგრამა 100, ელვა/მეხი. მისი გაორმაგებით მიიღება ჰექსაგრამა №51 震 zhen.

ამ ჰექსაგრამის აფორიზმს 震驚百里 შჩუცკი და ვილჰელმი ასე თარგმნიან: „ელვა აშინებს ასობით ვერსზე“. მაგრამ ჭექა-ქუხილის ხმა არ ისმის 20 კილომეტრზე მეტი მანძილიდან; ელვა კი შეიძლება ჩანდეს უფრო შორიდან ციალის სახით, მაგრამ დაშინებისა რა მოგახსენოთ... მეორე ხაზზე: 億喪貝 „შენ შეგიძლია ათასჯერ დაკარგო შენი განძი“ – რადგან 喪 (დაღუპვის, დაკარგვის) შემდეგ მოდის იეროგლიფი 貝ერთ-ერთი მნიშვნელობით „ნიჟარის მონეტები“.

ჰუანგის მიხედვით, ჰექსაგრამის აფორიზმი ასე ჟღერს: „ირყევა ასობით მილი“ – ეს უკვე გვაგონებს მიწისძვრას. თუმცა მეორე ხაზზე ისიც „ფულის დაკარგვას“ მოიხსენიებს. პირდაპირ შეიძლება ასე ვთარგმნოთ: 億喪貝„ასობით ათასი იღუპება ბეიჯოუში“. ბეიჯოუ 貝 არის ისტორიული ადგილი პროვინციაში ჰებეი, ჩინური ცივილიზაციის აკვანი. ეს ძალზე აქტიური სეისმური რაიონია. კი, ჩინეთის თითქმის მთელი ტერიტორია სეისმურია, მაგრამ ზუსტად ამ ადგილზე მითითება კიდევ იმითაა საინტერესოა, რომ იქაურ ერთ ქალაქში სინტაიში გადმოცემის მიხედვით ცხოვრობდა ...ფუსი! ანუ შეიძლება ეს მითითებაა ფუსის დროინდელ მიწისძვრაზე. მაშინ გასაგებია სხვა ფრაზებიც: „ახვალ ცხრა (ან მეცხრე) ბორცვზე“ – ისიც გასათვალსიწინებელია, რომ ამ იეროგლიფის ერთ-ერთი მნიშვნელობაა საფლავის, სამარხის ბორცვი.

მეოთხე ხაზზე „ელვა ხვდება ლამში/ტალახში“, თუმცა ეს ასევე შეიძლება გავიგოთ, როგორც ტალახის/ლამის მოძრაობა, ანუ მეწყერი, რომელიც ასევე ძალზე აქტუალურია ჩინეთისთვის.

ამ ადგილის სეისმურობას მიუთითებს ისტორიულად ცნობილი სინტაის მიწისძვრა (1966 წ.). ახლო-მახლო მოხდა მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე საშინელი მიწისძვრა: 1976 წელს რამდენიმე წუთში აღიგავა პირისაგან მიწისა მილიონიანი ქალაქი ტანშანი. საინტერესო და შემზარავი ფაქტი – მეოცე საუკუნის ყველა მიწისძვრაში მთელ მსოფლიოში დაღუპული მილიონი ადამიანიდან ამ ერთმა მიწისძვრამ იმსხვერპლა მეოთხედი!

მრავალი ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ აქ ლაპარაკია მიწისძვრაზე. საინტერესოა, რომ ერთ-ერთი თანამედროვე ჩინელი მკვლევარი თვლის, რომ ამ ჰექსაგრამაში ლაპარაკია ქცევაზე მიწისძვრის დროს (ციტ. ვან ხუნცის მიხედვით).

ერთადერთი საეჭვოა ბეიჯოუ, რადგან ეს სათავადო ისტორიულად ცნობილია ჩვ.წ. VI საუკუნიდან, თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას დაერქვა ძველი ტერიტორიის სახელი.

ორმაგი საფრთხე

ჩინეთისთვის კიდევ უფრო აქტუალური ბუნებრივი მოვლენაა წყალდიდობა, განსაკუთრებით ხუანხეს ხეობაში. ეს მდინარე „მსოფლიო ჩემპიონია“ მყარი ჩამონატანის მხრივ, რადგან მისი კალაპოტი შედგება ძალზე ფხვიერი მასალისგან – ლიოსისგან, ამიტომაც მას ეძახიან ყვითელ მდინარეს. ჩამონატანის დიდი ნაწილი მას გააქვს ზღვაში, რომელსაც ასევე ეძახიან ყვითელს. კალაპოტშიც რჩება საკმაოდ დიდი რაოდენობით ჩამონატანი, ამიტომ ხუანხეს კალაპოტი მომიჯნავე ვაკეებზე მაღლაა, ზოგან 10 მეტრით. ამიტომ საჭირო ხდება მის ნაპირებზე ჯებირების აშენება. მაგრამ დროდადრო თავნება მდინარე არღვევს ჯებირებს, რაც უზარმაზარი ტერიტორიების დატბორვას და დიდ მსხვერპლას იწვევს, ხანდახან მილიონობით ადამიანის... ამის გამო ხუანხეს შეარქვეს „ჩინეთის უბედურება“.

მივუბრუნდეთ „იძინგს“. ტრიგრამის „ქან“ (წყალი) თვისებაა საფრთხე, მისი გაორმაგებით მიღებულ ჰექსაგრამას №29 ჰქვია „ორმაგი საფრთხე“. აქ მოყვანილი რეალიები სავსებით გასაგებია: „უფსკრული“, „გამოქვაბული უფსკრულში“... თუმცა

„იძინგი“ რის „იძინგია“, თუ მეორე და მესამე მნიშვნელობას არ აღწერს. აქ შეიძლება ვილაპარაკოთ ადამიანის ფსიქოლოგიაზე, მის ქვეცნობიერზე. ამ ჰექსაგრამის ჩვენი გაგება, როგორც ქვეცნობიერის, სავსებით შეესაბამება იუნგის წარმოდგენებს, რომ ჰექსაგრამა „ქანს“ ხშირად იღებდნენ მისი პაციენტები, რომლებიც ძალიან იყვნენ დამოკიდებული ქვეცნობიერზე (წყალზე!) და რომლებსაც ემუქრებოდა ფსიქოტიური სიმპტომების წარმოქმნა.

„ახალჩინური“ მეცნიერების აგების მცდელობა

კარლ იუნგი თვლიდა „იძინგს“ ჩინური მეცნიერების სანიმუშო ნაწარმოებად. ცნობილი ინგლისელი მეცნიერი ჯოზეფ ნიდემი, რომელმაც გამოსცა მრავალტომეული „ჩინური მეცნიერება და ცივილიზაცია“, თავდაპირველად თვლიდა მას წინარე მეცნიერებად, რომელიც იმსახურებს პატივისცემას მხოლოდ თავისი სიძველის გამო, თუმცა შემდეგ მივიდა დასკვნამდე, რომ მომავლის მეცნიერება თავისი მიდგომებით, იდეურად ჩინურის მსგავსი იქნება. ამიტომ ამ მომავლის მეცნიერებას შეიძლება ეწოდოს „ახალჩინური“.

თავიდანვე ვიტყვი, რომ ამ „ახალჩინურ“ მეცნიერებას არაფერი საერთო არ აქვს თანამედროვე მეცნიერებასთან ჩინეთში, რომელიც „მეინსტრიმულ“ ნაწილში სრულიად დასავლურია. ეს არის მეცნიერების შესაძლო განვითარების პროგნოზი, დამყარებული ძველ ჩინურ „ცვლილებათა წიგნზე“, რომელიც ერთ-ერთი უძველესია და ამავე დროს აქტუალური და შეიცავს მნიშვნელოვან სამეცნიერო ინფორმაციას.

„იძინგის“ გრაფიკული ნაწილის – ტრიგრამების და ჰექსაგრამების – ანალიზით ნაჩვენებია, რომ ის შეიცავს ინფორმაციას მატერიალურ და სულიერ პროცესებზე დროსა და სივრცეში, არის სავსებით მეცნიერული მეთოდოლოგია, თუმცა ის დგას დასავლური მეცნიერებისგან განსხვავებულ პრინციპებზე.

დასავლური და ჩინური მეცნიერების მთავარი განსხვავება იმაშია, რომ დასავლეთს სურს დაადგინოს მოვლენათა კაუ-

ზალური, მიზეზობრივი (ფაქტიურად, დროითი) კავშირი. ითვლება, რომ თუ ორი მოვლენა დაცილებულია ერთმანეთისგან დროში, მათ შორის შეიძლება მიზეზობრივი კავშირის დადგენა. დასავლური მიდგომის უკიდურესი გამოვლენაა პრინციპი post hoc ergo propter hoc „ამის შემდეგ, ესე იგი ამის შედეგად“. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ყოველთვის ასე როდია, მითუმეტეს, რომ მიზეზობრივი დამოკიდებულება ვლინდება მხოლოდ უმარტივეს პროცესებში, რთული პროცესებისთვის კი შეიძლება მხოლოდ მეტი ან ნაკლები კორელაციის დადგენა.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ დასავლეთი არ განიხილავს ერთდროულ პროცესებს ან მოვლენებს, მეტიც, სინქრონულობის დადგენის შეუძლებლობა (სინათლის სიჩქარის შეზღუდულობის გამო) გახდა ამოსავალი წერტილი ფარდობითობის თეორიის აგებისას. ფაქტიურად ამავეზე ლაპარაკობს კვანტური მექანიკაც – რომ შეუძლებელია ნაწილაკის კოორდინატის და იმპულსის ერთდროულად დადგენა.

პირიქით, ჩინური მეცნიერება განიხილავს სინქრონულ მოვლენებს და ადგენს სივრცობრივ კანონზომიერებებს. „იძინგში“ ორი დროა, მყისიერ დროს შეესაბამება „ჩვეულებრივი“ სინქრონულობა, რომელზეც ამდენს ლაპარაკობდა იუნგი და რომელიც ხშირად ვლინდება მკითხაობის დროს; სტრუქტურულად მას შეესაბამება ჰექსაგრამა №34 A1T1 „დიდი ძალა“. ჰექსაგრამაში №26 A1T2 „დიდი აღზრდა“ მყისიერი დროის (ქრონ) მაგივრად დგას ხანგრძლივი დრო (ბერძნულად „ეონი“ – ეპოქა, ერა, მარადისობა). ხანგრძლივ დროსთან თანადროულობა შეუძლებელია. მისი მოქმედება ვლინდება მაშინ, როდესაც ის მთავრდება, ანუ A1T2 ეს არის ესქატოლოგია.

დასავლეთის და ჩინეთის ასეთი დრო-სივრცობრივი სხვაობა ჩადებულია მათი ენების და დამწერლობის არსში: ანბანური სიტყვა, თუგინდ წარმოთქმული, თუგინდ დაწერილი, დროშია განფენილი. იეროგლიფს კი აქვს სივრცობრივი სტრუქტურა, ფონემების მხრივ კი ჩინური საკმაოდ ღარიბია, და ენის ხმოვანი მრავალფეროვნება მიიღწევა ტონების ხარჯზე, რომელთა ასახვა დამწერლობაში შეუძლებელია (არ არის გამორიცხული, რომ

ეს სპეციალურადაა გაკეთებული, რომ შეუძლებელი ყოფილიყო იეროგლიფების უარყოფა!), მაშინ როდესაც ნებისმიერ ხალხს შეუძლია ათობით ბგერის გამოგონება და მათი გამოყენება კომუნიკაციისთვის.

საერთოდ ჩინელები კარგა ხანია პოზიციონირებენ თავის ქვეყანას სივრცობრივად. გარდა ამისა, მათი ცნებითი კოდი – ტრიგრამები – ასევე ორიენტირებულია სივრცობრივად, ქვეყნის მხარეების მიმართ. ამასთან, ამ ორიენტაციას აქვს არა სუფთა საკლასიფიკაციო მნიშვნელობა, არამედ გარკვეული აბსოლუტური შინაარსი; მაგალითად, „ნივთობრივი“ ტრიგრამები (ცეცხლი–წყალი) განლაგებულია ღერღზე აღმოსავლეთი (დუნ) – დასავლეთი (სი), დუნ-სი კი ჩინურად ნიშნავს ნივთს. ასეთი განლაგება გვაძლევს შესაძლებლობას დავაკავშიროთ თითოეული ტრიგრამა თავის წყვილს და პა-კუა-ს მთელ რვაელემენტიან სისტემას. რადგან, „იძინგის“ მიხედვით, სივრცე შედგება მატერიისა და დროისგან, სივრცობრივი კანონზომიერებები უფრო რთული, უფრო ზოგადია, ვიდრე დროითი.

„ახალჩინური“ მეცნიერების განხილვის საგნები უნდა იყოს გლობალური, ინტეგრალური მოვლენები, ამიტომ ის პირველ რიგში ჰპოვებს გამოყენებას ეკოლოგიაში. თანამედროვე ეკოლოგიის ერთ-ერთი პრინციპი ასეა ფორმულირებული: „ყველაფერი დაკავშირებულია ყველაფერთან“. მაგრამ ამის თქმა ფაქტიურად არაფრის მომცემია, კიდევ იმიტომაც, რომ ეს არის სუფთა მატერიალური კავშირების დეკლარირება დროსა და სივრცეში.

„ახალჩინური“ მეცნიერება იქნება გამოყენებული კლიმატის, ლანდშაფტის, გეოპოლიტიკის შესწავლაში და საერთოდ ყველა მეცნიერებაში წინსართით გეო-. გეოგრაფია აღარ იქნება დედამიწის აღწერა, არამედ გახდება ცოდნა დედამიწაზე – გეოგნოზია. წარმოიქმნება ახალი მეცნიერებები – შესაძლოა, ოპერაციონალურად განისაზღვრება „დროის სული“ (Zeitgeist), „სივრცის მოქმედება“ ან „დროის მოქმედება“, რაც ადრე იყო ნაჩვენები ისტორიული მაგალითით: აღორძინების ეპოქების მსგავსებით სამ ქვეყანაში, რომლებიც დაშორებულია ათასობით

კილომეტრით და ასობით წლით.

შესაძლოა, გადაწყდება გლობალური დათბობის თუ მომავალი გამყინვარების დილემა, გაიცემა პასუხი ისეთ საკითხებზე, რომლებიც ჯერ არც კი ისმება – მაგალითად, რაშია დედამიწის ზედაპირის ასეთი მკვეთრი ასიმეტრიის მიზეზი. რადგან იეროგლიფი „ი“ (ცვლილება) შედგება ორი ნაწილისგან, რომლებიც აღნიშნავენ მზეს და მთვარეს, „იძინგი“ აღწერს მათ ზეგავლენას დედამიწაზე, უზრუნველყოფს მოვლენათა განხილვის სწორ მასშტაბს, რათა მეცნიერებები დედამიწაზე, რომლებიც ჯერ არც კი გამოვიდნენ გეოცენტრიზმის არტახებიდან, არ გაზავდნენ უსასრულო კოსმოსის უპიროვნო ფიზიკა-ქიმიურ პროცესებში.

სხვათა შორის, ჩინური პრინციპების „კაუზალიზაციის“ მცდელობები (ხუთი ელემენტის უ-სინ ურთიერთ „წარმოქმნა“ და „დაძლევა“) არის შესაძლო აუცილებელი, თუმცა ნაბიჯი უკან, ძველი ჩინური წარმოდგენების პროფანაცია. მათ შეუწყეს ხელი სუი-იანის, 10 ციური ღეროს შინაარსის დაკარგვას, მის შეცვლას ფერით, რამაც კალენდარში თავისებური თამაშის ელემენტები შეიტანა.

ახალი ჩინური მეცნიერების კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება იქნება არა დასავლური არითმეტიკული კალენდრის გამოყენება, არამედ დინამიური, მთვარის კალენდრის, სადაც ასევე მიიღება მხედველობაში იუპიტერის და სატურნის მოძრაობა და ზემოქმედება დედამიწაზე.

„ახალჩინურ“ მეცნიერებას აქვს სერიოზული პოტენციალი, ის არა მხოლოდ ერთ დონეზე დგას დასავლურ მეცნიერებასთან, არამედ მიმართულია მომავალში.

ცოტა რამ ჩინეთის ისტორიაზე

ჩინელების ოთხმა დიდმა გამოგონებამ შეცვალა მსოფლიო – კომპასმა, ქაღალდმა, დენთმა და წიგნბეჭდვამ. თუმცა იდეურად თანამედროვე ცივილიზაციამ ცოტა რამ აიღო ჩინეთისგან. ჩინეთის ისტორიაც ნაკლებადაა ცნობილი დასავლეთში. მეტიც, ფილოსოფოსი ჰეგელი თვლიდა ჩინელებს „არაისტორიულ ერად“. აი სად, რბილად რომ ვთქვათ, შეცდა გამოჩენილი ფილოსოფოსი – საკმარისია იმის თქმა, რომ ჩინეთში უწყვეტ ისტორიულ ჩანაწერებს თითქმის 3000 წლის განმავლობაში აწარმოებენ, და არის მოსაზრება, რომ ერთ-ერთი მათი წიგნი – „იძინგი“ ითვლის 5000 წელზე მეტს.

დასავლეთმა, და ჩვენ მათ შორის, ცოტაოდენი ვიცით ჩინეთის შესახებ. მაგალითად, მთელი ცისქვეშეთის გაერთიანებაზე იმპერია ცინის მიერ. ამ პერიოდთან დაკავშირებულია კიდევ რამდენიმე მეტ-ნაკლებად ცნობილი ისტორია. მაგალითად, თუ როგორ შეუწყო ხელი ვაჭარმა ლიუი ბუვეიმ მომავალ იმპერატორ ცინ შიხუანდის, რომელსაც ტახტი არანაირი კანონებით არ ეკუთვნოდა. მან გაუკაფა მას გზა არა მკვლელობებით, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში იყო მიღებული, არამედ მოსყიდვით. გამეფების შემდეგ მომავალი იმპერატორი აგრძელებდა იმავე პოლიტიკას მეზობელი ქვეყნების ელიტის მიმართ და ნელ-ნელა მიიერთა ისინი. არც თავისი კეთილისმყოფელი დაივიწყა და უბრძანა შხამის დალევა.

ამ მომენტში სცენაზე გამოვიდა მოხეტიალე მრჩეველი ლი სი, იგი იყო სამეფო ჩუს მკვიდრი, მაგრამ გადაწყვიტა ემსახურა ცინს მთელი ცისქვეშეთის გაერთიანებაში. მან მალე ჰპოვა აღიარება ცინში. მისი რჩევებით მეფე აგრძელებდა მეზობელი ქვეყნების დიდებულების მოსყიდვას, მათ კი, ვინც თავისი მეფის ერთგული რჩებოდა, კლავდნენ. ასე მეზობელი ქვეყნების ელიტაში შეჰქონდათ განხეთქილება, შემდეგ კი გზავნიდნენ ჯარს და ...

როდესაც ცინ შიხუანდი გახდა იმპერატორი, მან გაატარა დამწერლობის რეფორმა, მოაწესრიგა სიგრძის და წონის სა-

ზომები, მოაწყო საფოსტო გზები. გადასახადები მცირდებოდა, სასჯელები რბილდებოდა. თუმცა ყველა, ვისაც ცოტაოდენი რამე სმენია ჩინეთშე, აკავშირებს მის სახელს, ისევე როგორც მისი პირველი მრჩევლის ლი სის, პირველ როგში, „სიმღერების წიგნის“, „ისტორიის წიგნის“ და ფილოსოფიური წიგნების დაწვასთან. მათ, ვინც არ ემორჩილებოდა ამ ბრძანებას, აგზავნიდნენ კატორღაში. თუმცა გადმოცემა სწავლულების წიგნებთან ერთად ცოცხლად დამარხვის შესახებ ახლა ითვლება საეჭვოდ. ნებადართული იყო დატოვება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო და სამკითხაო წიგნების (აი, სად გაუმართლა „იძინგს“!) ამრიგად, „ნათელი კანონები და მტკიცე დადგენილებები გამოჩნდნენ ცინ შიხუანის მართვის დროს“, – წერს ისტორიკოსი სიმა ციენი[34]. მთავარი მრჩეველი ლი სი იმყოფებოდა ხელისუფლების და სიმდიდრის მწვერვალზე, მაგრამ გრძნობდა, რომ „როდესაც რამე აღწევს მწვერვალს, იწყება დაცემა“.

თავისი მეფობის ოცდამეჩვიდმეტე წელს ცინ შიხუანდი გაემგზავრა ქვეყნის გარშემო და თან წაიყვანა თავისი უმცროსი ვაჟი ჰუ ჰაი. მას თან ახლდა მრჩეველი ლი სი და იმპერატორის ბეჭდის მცველი ჯაო გაო. იმავე წლის მეშვიდე თვეში იმპერატორი მძიმედ დაავადდა. მან უბრძანა ჯაო გაოს, წერილი გაეგზავნა მის უფროს ვაჟს, ფუ სუს, რომელიც საზღვარზე ჯართან ერთად იმყოფებოდა, და ებრძანა დედაქალაქისკენ წასულიყო. წერილის გაგზავნა ვერ მოასწრეს, რომ იმპერატორი გარდაიცვალა. წერილი და იმპერატორის ბეჭედი ჰქონდა ჯაო გაოს. ლი სიმ ბრძანა, იმპერატორის სიკვდილი მემკვიდრის მოსვლამდე არ გამხელილიყო. მაგრამ ჯაო გაოს სულ სხვა გეგმები ჰქონდა. მან დაუწყო ლოლიაობა ჰუ ჰაის; იგი ეუბნებოდა, რომ როდესაც მისი უფროსი ძმა იმპერატორი გახდებოდა, მას და მის სხვა ძმებს „მიწის ერთი გოჯიც არ ერგებოდა“. საბოლოოდ, ჰუ ჰაი დათანხმდა, რომ იგი გამოეცხადათ იმპერატორად.

ლი სი რჩებოდა გარდაცვლილი იმპერატორის ერთგული; იგი ამბობდა, რომ იმპერატორის ზეციური ნებისადმი დაუმორ-

34 Сыма Цянь. Избранное, Гос. Изд. Худ. лит., М., 1956, 360 с.

ჩილებლობა დანაშაულია; მოჰყავდა ისტორიული მაგალითები, თუ როგორ მოჰყვებოდა ძალაუფლების უზურპაციას არა მხოლოდ დინასტიების, არამედ სამეფოების დაცემა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისიც დათანხმდა და ჰუ ჰაი გამოცხადდა ცინის მეორე იმპერატორად – ერ-ში-ხუანად.

გარდაცვლილი იმპერატორის წერილი უფროს ვაჟს მის ფაქტიურად მემკვიდრედ დანიშვნის შესახებ შეიცვალა და ცინ შიხუანდის სახელით ფუ სუს უბრძანეს თავის მოკვლა, რაც მან შეასრულა, „როგორც ჰუმანურმა ადამიანმა“. ტახტზე მჯდომმა ჰუ ჰაიმ მოიშორა ლი სი; არ აპატია ეჭვები და ყოყმანი. იგი მხოლოდ ჯაო გაოს სრული ნდობა ჰქონდა. ცინ შიხუანდის ოცზე მეტი ვაჟი და ქალიშვილი მოკლეს. ჯაო გაო ურჩევდა სასჯელის კიდევ უფრო გამკაცრებას და ყველას, ვინც ოდნავადაც არ ეთანხმებოდა მათ, ნათესავებთან ერთად სიკვდილით სჯიდნენ.

ტერორმა მიაღწია არნახულ მასშტაბებს, გაიზარდა გადასახადები და მოსაკრებლები, საზღვრების დაცვის ბეგარა სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა. ლი სის სურდა იმპერატორის გონებაში ჩაგდება, მაგრამ მას სასახლეში არ უშვებდნენ. ერთხელ ჯაო გაომ ისე მოაწყო, რომ ლი სი იმპერატორთან მივიდა, როცა ის ხარჭებთან ერთობოდა. გაბრაზებულმა იმპერატორმა ლი სი ციხეში ჩააგდო. იგი აწამეს, მან „მოახერხა თავის გამართლება და ღვაწლის ჩვენება“, თუმცა იგი სიკვდილით დასაჯეს.

ჯაო გაო დარჩა ერთადერთი მრჩეველი და სრულიად გათავხედდა. აჩვენებდა იმპერატორს ირემს და ეუბნებოდა, რომ ეს ცხენია; სხვა დიდებულებიც უდასტურებდნენ იმპერატორს, რომ ეს ცხენია, ასე რომ იმპერატორი დაეჭვდა თავის ჭკუაში. შემდეგ ჯაო გაომ ურჩია იმპერატორს დასახლებულიყო შორეულ სასახლეში. ერთ დღეს ის შევარდა სასახლეში ყვირილით, რომ მათ თავს დაესხნენ ყაჩაღები. იმპერატორი პანიკაში ჩავარდა და ჯაო გაოს რჩევით თავი მოიკლა.

მაგრამ ჯაო გაომ ვერ შეძლო თავად გამხდარიყო იმპერატორი, არც ერთ დიდებულს არ სურდა მისი დამორჩილება. ამიტომ მან დაიბარა ძი ინგი, ერ-ში-ხუანდის ძმისშვილი და გა-

დასცა იმპერატორის ბეჭედი. მესამე იმპერატორი არ ენდობოდა ჯაო გაოს და სასახლეში ერთ-ერთი ვიზიტის დროს მისი მოკვლა ბრძანა.

სამი თვის შემდეგ გლეხთა აჯანყების წინამძღოლის, ლიუ ბანგის ჯარები დედაქალაქს მიუახლოვდნენ. ძი ინგი არავინ არ დაიცვა. ის ჯერ ჩამოაქვეითეს, მაგრამ შემდეგ სიკვდილით დასაჯეს, დედაქალაქი დაანგრიეს და მოსახლეობა გაანადგურეს...

ასე დაიღუპა ცინის იმპერია, რომელმაც მხოლოდ 13 წელი იარსება: თერთმეტი წელი დამფუძნებლის მართვის ქვეშ, ორი წელი ერ-ში-ხუანდის დროს და სულ რამდენიმე თვე მისი მემკვიდრის დროს. თუმცა, დასავლეთში მას ცინის იმპერიის სახელის მიხედვით ჩინეთს უწოდებენ, და არა ჩინელების თვითსახელწოდებით ჰანი – დინასტიისა, რომელიც მართავდა 400 წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

„იაოს კანონის“ დათარიღება

ჩინური კლასიკური წიგნებიდან ყველაზე საკამათოა „შუძინგის“ („ისტორიის წიგნის“) ტექსტი. ეს არ არის გასაკვირი, ვინადან ის პირველ რიგში დაწვეს იმპერატორ ცინ შიხუანდის დროს ძვ. წ. 213 წელს. თითქოს ყველა დამწვარი წიგნის თითო-ოროლა ეგზემპლარი ინახებოდა იმპერატორის ბიბლიოთეკაში, თუმცა ისინიც დაიწვა ცინის იმპერიის დამხობის დროს.

თითქმის 30 წლის შემდეგ მეცნიერმა ფუ შენმა ნაწილობრივ აღადგინა ის მეხსიერებით. დაახლოებით ძვ. წ. 150 წელს ტექსტის ნაწილები აღმოაჩინეს კონფუცის სახლის კედელში. მისმა შთამომავალმა კუნ ანგომ მოახდინა ორივე ტექსტის კომპილაცია და გამოსცა თავისი კომენტარებით. ასეთი სახით წიგნი კვლავ დაიკარგა ხანის იმპერიის ბოლოს და მოიძებნა მე-4 საუკუნის დასაწყისში.

პირველად მის ავთენტურობაში დაეჭვდნენ სუნის ეპოქის ნეოკონფუციანელები XII საუკუნეში. მრავალსაუკუნოვანი კა-

მათის შემდეგ, ამჟამად უეჭველად და უტყუარად ითვლება 33 თავი (ძირითადად ისინი, რომლებიც ფუ შენმა ჩაწერა), დანარჩენი კი მეოთხე საუკუნის ნახელავია.

„შუძინგის“ ცალკეული ნაწილების დროითი მიბმის მიზნით გამოიყენება ფილოლოგიური, ტექსტოლოგიური და მსგავსი ანალიზი. შევეცდებით გამოვიყენოთ აქ მეთოდი, წარმატებით გამოყენებული „იძინგის“ უძველესი ფენის დასადგენად – ტექსტის ასტრონომიული მითითებების ანალიზი (ამ თვალსაზრისითაც „იძინგს“ აქვს უპირატესობა, რადგან მან თავი დააღწია „ცინის ცეცხლს“).

განვიხილოთ „შუძინგის“ ასტრონომიული მითითებები. „ისტორიის წიგნის“ პირველ ნაწილში, „იუი შუ“, თავში „იაოს კანონი“ წერია: „...საშუალო ხანგრძლივობის დღე და ვარსკვლავი ნიაო-ში (№25 თანავარსკვლავედი 28-დან) – შეგიძლიათ ზუსტად დაადგინოთ შუა გაზაფხული... ყველაზე გრძელი დღე და ვარსკვლავი ხო-ში (№4/№5 თანავარსკვლავედი) – შეგიძლიათ ზუსტად დაადგინოთ შუა ზაფხული... საშუალო ხანგრძლივობის ღამე და ვარსკვლავი სიუი-ში (№11) – შეგიძლიათ ზუსტად დაადგინოთ შუა შემოდგომა.... ყველაზე მოკლე დღე და ვარსკვლავი მაო-ში (№18) – შეგიძლიათ ზუსტად დაადგინოთ შუა ზამთარი....“.

განვიხილოთ ჯერ დღეღამტოლობები, რადგან მზებუდობები მათგან ლოგიკურად წანაცვლებულია 7 თანავარსკვლავედით. შემოდგომის დღეღამტოლობა – როდესაც ვარსკვლავი იმყოფება სიუი-ს თანავარსკვლავედში – №11 28-დან (სურათზე ზემო კვარდანტის შუაშია), ის ნაწილობრივ ემთხვევა მერწყულს და მცირე ცხენს, პირდაპირი აღმასვლაა 21,5 სთ. თანამედროვე (გაზაფხულის) დღეღამტოლობის წერტილიდან ის წანაცვლებულია 2,5 სთ, ანუ ზუსტად შუაშია თანამედროვე და „ფუსის დღეღამტოლობას“ შორის (№8 თანავარსკვლავედში), „ჩამჩაში“ (19 სთ). ასე რომ ეს მომენტი დაცილებულია ჩვენგან (ეპოქიდან J2000.0) 2625 წლით და ემთხვევა ძვ. წ. 625 წელს – ჩვენციუს ეპოქას. გასაგებია, რომ ეს ჩანაწერი ვერანაირად ვერ გაკეთდებოდა იმპერატორ იაოს ეპოქაში, რომელიც ტრადიციის მიხედ-

ვით, მიეკუთვნება ძვ. წ. XXII–XXIII საუკუნეებს. ცნობილი სინოლოგი ა. კარაპეტიანცი ათარიღებს „შუძინგის“ ყველაზე გვიანდელ ჩანაწერებს ძვ. წ. 624 წლით[35]. ადამიანს, ვინც იცნობს „იძინგს“, სიტყვასიტყვითი დამთხვევებით ვერ გააკვირვებ, თუმცა აქ ასეთი ზუსტი რიცხობრივი დამთხვევა საკმაოდ შტამბეჭდავია!

პირველი შეხედვით, აქ ადგილი აქვს ფაქტების დამახინჯებას და ჩვენ ვთვლით მანძილს გაზაფხულის და შემოდგომის დღეღამტოლობას შორის. სინამდვილეში არავითარი წინააღმდეგობა აქ არ არის; დასავლურ ტრადიციაში დღეღამტოლობა აღინიშნება მზის მიერ ციური ეკვატორის გადასვლით, აქ კი ლაპარაკია არა მზეზე, არამედ ვარსკვლავზე, რომელსაც დამკვირვებელი უყურებდა გვერდიდან, ანუ იმ დროს მზე (და დედამიწა მასთან ერთად) იმყოფებოდა საპირსპირო მხარეს, ანუ ნიაო-ში – ეს არის მთელი ქვედა კვადრანტი, მისი შუაგული – თანავასკვლავედი სინგი „ვარსკვლავი“ – ემთხვევა ჰიდრას 7 ვარსკვლავს. მისი მთავარი ვარსკვლავის ალფარდის პირდაპირი აღმასვლა უდრის 9,5 სთ, ანუ 2,5 სთ დაცილებულია შემოდგომის ბუნიობას. ანალოგიური მსჯელობით ვადგენთ, რომ „სიცარიელეში“ იმ დროს იყო გაზაფხულის დღეღამტოლობა.

ასევე იხსნება წინააღმდეგობა მზებუდობებზე. „შუძინგის“ მიხედვით: „ვარსკვლავი მაო-ში – შუა ზამთარი“. ეს თანავარსკვლავედი იმყოფება მარჯვენა კვარდანტის შუაში, ჩვენი წარმოდგენებით, ეს არის დაახლოებით პლეადა. მისი პირდაპირი აღმასვლა შეადგენს 3,75 სთ, ანუ 2,25 სთ დაცილებულია ახლანდელ ზაფხულის მზებუდობას. ანუ მაშინ მზე იმყოფებოდა შუა ზაფხულში. და ბოლოს: „...ვარსკვლავი ხო-ში – შუა ზაფხული“. აქ მითითებულია პირველელემენტი ხო – ცეცხლი, რომელიც შეესაბამება ანტარესს, №4 და №5 თანავარსკვლავედებს (ფანგი და სინი) შორის, ანუ ეს არის მორიელი, რომელიც ყველაზე ახლოსაა ზამთრის მზებუდობასთან.

საინტერესოა, რომ ბუნიობები განისაზღვრება საკმაოდ

35 Карапетьянц А.М. Формирование системы канонов в Китае // У истоков китайской словесности. М., 2010.

ზუსტად; აქაც, „შუძინგით“, ისევე როგორც ფუსის ეპოქაში („ჩამჩა“ №8 და „ჭა“ №22), მზებუდობები კი გარკვეულწილად წანაცვლებულია: „ჩამჩიდან“ შვიდი თანავარსკვლავედით დაცილებულია თანავარსკვლავედი „რქები“ (პირველი მარცხენა კვადრანტში), მზებუდობა კი იყო „კისერში“ (მომდევნო მარცხენა კვადრანტში). ჩინური კალენდრის ათვლა დრაკონის ნიშნით დაიწყო ზამთრის მზებუდობიდან თანავარსკვლავედში „კისერი“.

ამრიგად, სენსაცია არ შედგა – თუმცა არავინ არ ვარაუდობდა, რომ „იაოს კანონი“ აუცილელად უნდა ყოფილიყო ჩაწერილი მის დროს. მაგრამ ასტრონომიული მითითებების ანალიზის მეთოდმა ღირსეულად გაართვა თავი შემოწმებას და აჩვენა „იძინგის“ კიდევ უფრო შორეული რეალიების ანალიზის სისწორე.

გეოგრაფიის ისტორია

დასავლეთისთვის დამახასითებელია აქცენტი სულზე და დროზე (ისტორიაზე), სამეცნიერო კანონზომიერებები დიდწილად დროის ფუნქციებია. შესაბამისად განვითარებულია მისწრაფება პროგნოზირებისკენ, ანუ ყველაფრის დროითი ქცევის წინასწარმეტყველებისკენ – ამინდიდან ვალუტის კურსამდე.

ჩინეთში ისტორიული ჩანაწერები მიმდინარეობს თითქმის 3000 წელი, მაგრამ ისტორია ფეტიში არ ხდება, დამახასითებელია აქცენტი მატერიაზე და სივრცეზე (გეოგრაფია). ჩინელები კარგა ხანია მტკიცედ პოზიციონირებენ თავის თავს სივრცობრივად: ისინი ეძახიან თავის ქვეყანას ცისქვეშეთი, შუა სახელმწიფო, მრავალი პროვინციის და ქალაქის სახელწოდება მიუთითებს მათ განლაგებას მდინარეების, ტბების, მთების და ლანდშაფტის სხვა ელემენტების მიმართ: ხებეი–ხენანი (მდ. ხუანხეს ჩრდილოეთით და სამხრეთით), ხუბეი–ხუნანი (ტბა დუნტინხუს ჩრდილოეთით და სამხრეთით), შანდუნი–შანსი (მთებიდან აღმოსავლეთით და დასავლეთით)... პეკინი (ბეიძინი) – ჩრდილოეთის დედაქალაქია, ნანკინი –სამხრეთის... და არავის

თავში არ მოსვლია ქალაქისთვის იმპერატორის ან გენერალური მდივნის სახელის დარქმევა...

ჩინური გნოსეოლოგიაც სივრცობრივია, მათი ცნებითი კოდი, ტრიგრამები, ორიენტირებულია ქვეყნის მხარეების მიხედვით, რამაც ერთის მხრივ თავიდან აიცილა მათი უკონტროლო ზრდა, მეორე მხრივ კი ჰქონდა არა სუფთა საკლასიფიკაციო მნიშვნელობა, არამედ გარკვეული აბსოლუტური მნიშვნელობა: ისევ გავიხსენოთ „ნივთობრივი" ტრიგრამების ორიენტაცია დასავლეთ–აღმოსავლეთით.

ვექტორული ფორმალიზმი ტრიგრამების განხილვისას აჩვენებს, რომ სივრცობრივი კანონზომიერებები უფრო ზოგადია, ვიდრე დროითი.

შემეცნების კოდით (ტრიგრამები) თუ ვიმსჯელებთ, დასავლეთში აზროვნება ხაზოვანია და სუბსტანციონალურია: ის მიმართულია ღერძზე დასავლეთი–აღმოსავლეთი (გონი–მატერია). გნოსეოლოგია ეხებოდა სულს (res cogitans– მოაზროვნე ნივთი), ცეცხლი, წყალი და საერთოდ ნებისმიერი მატერია (res extensa – განფენილი ნივთი) იყვნენ ჯერ ფილოსოფიის განხილვს საგანი, შემდეგ კი სამეცნიერო შესწავლის საგნები გახდნენ. სივრცე და დრო იყვნენ მატერიის არსებობის ფორმები – მისი გულგრილი სათავსები. აღმოსავლეთ – დასავლეთის (რომლებიც ყოველთვის განისაზღვრებიან ერთი მეორის მიმართ) ორიენტაციის კიდევ ერთი ასპექტია რელატივიზმის პრევალირება დასავლურ სამეცნიერო აზროვნებაში.

ჩინეთში ტრიგრამები (და ნაკლებად 5 ელემენტი) ერთმანეთთანაა დაკავშირებული: სივრცე ეს მატერიის და დროის ურთიერთქმედების შედეგია. ანუ მათი აზროვნება მოიცავს მატერიას და სულს, დროს და სივრცეს – ყველაფერს ერთად.

დასავლეთის აზროვნებამ ამოწურა თავისი თავი, ყოველ შემთხვევაში, დიდწილად ჩიხში შევიდა (და შეიყვანა იქ მთელი კაცობრიობა). საჭიროა დაბრუნება (უფრო სწორად, აღმასვლა) აზროვნების უფრო მრავალმხრივი ჩინური ხერხისკენ.

სურ. 10. იეროგლიფი „აზრი“

Zeitgeist, დროის სული

„იძინგის ტრიგრამების სისტემის თანამევდროვე ხედვა“ აჩვენებს, რომ ყველა ჰექსაგრამა ტრიგრამა „ცეცხლის“ მონაწილეობით მიეკუთვნება სულიერ ცხოვრებას, მაგალითად, ასეთია ჰექსაგრამა №55 სტრუქტურით M1T1 (თხელი მატერია დროში), ანუ „სიუხვეში“ მთავარია არა ნივთიერება, არამედ სული!

მას მოჰყვება ჰექსაგრამა №56 სტრუქტურით T2M1: ეს არის სულის განვითარების ხანგრძლივი (მარადიული) გზა, ანუ ეს არ არის მოგზაურობა ან ხეტიალი, არამედ „მომლოცველობა“.

ამბობენ, რომ კონფუციმ მხოლოდ ერთხელ მიიღო მკითხაობისას არასათანადო პასუხი, წინააღმდეგობრივი წინასწარმეტყველება, როდესაც მას შეხვდა ჰექსაგრამა №22 ბი, „მორთულობა“; ამასთან დაკავშირებით იეროგლიფმა „ბი“ (ლამაზი, მორთული) მიიღო კიდევ ერთი მნიშვნელობა „წინააღმდეგობრივი, დახლართული“. მაგრამ ვინაიდან ამ ჰექსაგრამის სტრუქტურაა M1T2, ეს სიტუაცია წინას ინვერსიაა. შესაბამისად, მისი მნიშვნელობა კი არა იმაშია, რომ განავითარო სული, ეძიო ჭეშმარიტებას, არამედ უნდა მოწმობდე ჭეშმარიტებაზე, ამიტომ, ჩვენი აზრით, სწორედ ეს ჰექსაგრამა ყველაზე მეტად

შეესაბამება კონფუცის მისიის არსს.

იმისათვის, რომ მოწმობდეს ჭეშმარიტებაზე, ადამიანმა – მწერალმა, მხატვარმა, მეცნიერმა – უნდა მონახოს მისთვის შესაბამისი ფორმა, ამიტომ მის მიერ აღმოჩენილი ჭეშმარიტების შინაარსის ფორმა მისი მორთულობაა. (ოსკარ უაილდი: „მხოლოდ ზედაპირული ადამიანი არ აქცევს ყურადღებას გარეგნობაზე“.)

ილუსტრაციაზე მოყვანილია იეროგლიფი „ი“ (აზრი) მონავარდე მოცეკვავის და ღრმად ჩაფიქრებული ბრძენის სახით. ვაი იმას, ვინც ვერ შეძლებს ჭეშმარტების გამოხატვას („ანგლეტერში“ მელანი რომ ყოფილიყო, ვენების გაჭრის მიზეზი არ იქნებოდა“) ან მის შესაბამის შემოსვას!

ასეთ მდგომარეობაში ყველაზე დიდი საფრთხე ემუქრება პოლიტიკოსს. ერთხელ სამეფო ჩუს განდევნილ დიდებულს, დიდ პოეტს ციუი იუანს შეხვდა მეთევზე (სავარაუდოდ, დაოსი), რომელიც შეეკითხა, როგორ მოხდა, რომ ასეთი დიდი მოხელე დავიდა ასეთ ცხოვრებამდე, ციუი იუანმა უპასუხა: „მთელი სამყარო, ყველა ადამიანი ბინძურია, სუფთა მხოლოდ მე ვარ. ყველა მთვრალია, ფხიზელი მხოლოდ მე ვარ... ამიტომ ვარ განდევნილი“. მეთევზემ უპასუხა: „ბრძენი არ განიცდის შეზღუდვას საგნებისგან. არა, ის ოსტატურად მიიწევს წინ სამყაროსთან ერთად ან იცვლის გზას სამყაროს კვალად... შენი განდევნა მხოლოდ შენი ბრალია“.

ამ სიტყვებში არის გარკვეული სიმართლე. ციუი იუანი, რომელსაც მამამ შეარქვა ჯენ-ძე, რაც „სწორ პრინციპებს“ ნიშნავს, ბუნებით პოლიტიკოსი არ იყო და მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, რომ „...პირდაპირობა უბედურებაა“, მას ვერ „შორდებოდა“. სამგლოვიარო სიმღერაში „ლისაო“ ციუი იუანის ფიქრი მუდმივად უბრუნდება პირდაპირობის, პატიოსნების და სილამაზის, მორთულობის თემებს... „მორთულობას ბავშვობიდან მიჩვეული ვარ“. უფროსი და საყვედურობდა მას: „რატომ ხარ პირდაპირი და გიყვარს მორთულობა?// შენზე დახვეწილი არავინაა...“. მკითხავი ეუბნებოდა: „შენ ხარ მომხიბვლელი ნეფრიტის მორთულობაში// მაგრამ უმეცრები ამას ვერა ხვდებიან.“

იგი ქვეცნობიერად განიცდიდა ასეთი ქცევის არაადეკვატურობას („კარისკაცები ქალური შურით უცქერენ // ჩემს სილამაზეს და ცილს მწამებენ“), თუმცა თავს ვერ იკავებდა...

არ არის გამორიცხული, რომ ჩინეთის პირველი დიდი პოეტის ასეთმა ბედმა მიიყვანა ხანის იმპერიის მმართველები აზრამდე, რომ პოეტი კი არ უნდა დაიყვანო პოლიტიკოსოს დონემდე, არამედ პოლიტიკოსი აამაღლო პოეტამდე. შესაძლოა, ამითაც იყო გამოწვეული სახელმწიფო გამოცდების სისტემის დაარსება, რომელიც 2000 წელზე მეტ ხანს მოქმედებდა. პრეტენდენტები სახელმწიფო თანამდებობებზე პაექრობდნენ, კერძოდ, ლექსთწყობაში.

რა თქმა უნდა, საგამოცდო ლექსები იშვიათად ხვდებოდა პოეტურ ანტოლოგიებში, მაგრამ ისინი აფართოვებდნენ აზროვნებას და ავითარებდნენ აზრის შესაბამისი ფორმით შემოსვის უნარს. ამის შედეგად მზარეული არასდროს მართავდა ჩინეთს. მეორე მხრივ, დიდი პოეტები ბაი ძიუი და სუ ში წარმატებით მართავდნენ პროვინციებს. ამასთანაც არის დაკავშირებული ჩინეთის მრავალსაუკუნოვანი უწყვეტი კულტურული და სახელმწიფო მემკვიდრეობა.

შვიდი-რვა

დასავლური ცივილიზაცია განსაკუთრებულად თვლის რიცხვს 7. ყველაზე ცნობილი შვიდეულია სამყაროს 7 საოცრება, გარდა ამისა, ანტიკურ საბერძნეთში რეგულარულად ადგენდნენ სახელგანთქმული პოეტების, ფილოსოფოსების („შვიდი ბრძენი“), მხედართმთავრების, დიდი მეფეების სიებს. ეს რიცხვი ითვლებოდა სრულყოფილად, ღმერთ აპოლონის რიცხვად.

ჩინეთში კი სრულყოფილ რიცხვად ითვლება რვიანი. ცნობილია „რვა უკვდავი“ (დაოსი წმინდანები ლიუი დუნბინის მეთაურობით), „რვა უკვდავი ლოთი“ (პოეტთა ჯგუფი ლი ბოს „თამადობით“), „ჩინეთის კომპარტიის რვა უკვდავი“ (დენ სიაოპინის მეთაურობით, მაგრამ მაო ძედუნის გარეშე). „იძინგის“ თანამედროვე ჩინელმა მკვლევარმა ვან ხუნციმ თავის წიგნში

მიუძღვნა რვიანს ცალკე თავი „გამოუცნობი ციფრი რვა“; იგი აკავშირებს მას შევსებულ ატომურ გარსთან. ანუ რვა ელემენტიანი სისტემები ჩაკეტილია – ვერ დაუმატებ, ვერ მოაკლებ. რა თქმა უნდა, რვიანი პირდაპირაა დაკავშირებული „ცვლილებათა წიგნის“ რვა ტრიგრამასთან და 64 ჰექსაგრამასთან.

ამასთან მიმართებაში საინტერესოა ჩინურ ენაში კონსტრუქციები „7-ჯერ A, 8-ჯერ B“, რომლებიც აღნიშნავენ მრავალჯერ და უწესრიგო მოქმედებას. მაგალითად, „შვიდი–რვა“– დავა, კამათი, „7 ხელი, 8 ფეხი“ – ფაციფუცი, აურზაური, „7 კულული, 8 განშტოება“ – აწეწილი, რთული. და ბოლოს: „7 აღმოსავლეთი, 8 დასავლეთი“ – სრული ქაოსი!

„იძინგი“ როგორც სამკითხაო წიგნი

ჩინელები უხსოვარი დროიდან ცდილობდნენ მომავლის განჭვრეტას, მაგ., შანის ეპოქიდან კუს ბაკნებზე შემორჩენილ წარწერებში ხშირად გვხვდება მეფის შეკიხვა: „იქნება თუ არა წვიმა?“ (წვიმას ჰქონდა სასიცოცხლო მნიშვნელობა ჩინეთის მიწათმოქმედი ცივილიზაციისთვის). ადრე მკითხაობდნენ საქონლის ძვლებზე და კუს ბაკნებზე. შემდგომში ჰექსაგრამების სახით იქნა ფორმალიზებული 64 შესაძლო სიტუაცია, და მომავალზე პასუხის მისაღებად საჭირო იყო ერთ-ერთი ჰექსაგრამის აგება. ამისთვის არსებობდა რამდენიმე მეთოდი: ძალიან შრომატევადი და ამიტომ თითქოს უფრო სანდო მკითხაობა ფარსმანდუკის ღეროებით. მის გამოგონებას მიაწერენ ვენ-ვანს. მკითხაობისთვის იღებენ ფარსმანდუკის 50 ღეროს (50 ეს არის „დიდი დაღვრის რიცხვი“, მას ჰქმნიან „ციური ღეროების“ 10 წლიანი ციკლი სუი-იანი, „მიწიური შტოების“ 12 წლიანი ციკლი სუი-ინი და 28 ზოდიაქოს თანავარსკვლავედი), თუმცა რეალურად გამოიყენება 49. უფრო სწრაფი მეთოდია მონეტის დაგდება და მისი ავერსის და რევერსის რიცხვების დათვლა.

სურ. 11. ჩინური მონეტები

ყველაზე საინტერესოა მკითხაობა დროის მომენტით, რაზეც უფრო დაწვრილებით შევჩერდებით[36]. ის ხაზს უსვამს ტრიგრამების დროით ხასიათს. ეს მეთოდი დაკავშირებულია შუა საუკუნეების ჩინელი ფილოსოფოსის შაო იუნის სახელთან. ჰექსაგრამის ასაგებად საჭიროა ოთხი რიცხვის ცოდნა – წლის, თვის, დღის და საათის (ჩინეთში დღე-ღამე შედგებოდა 12 ორ-საათიანი ინტერვალისგან). ქვემოთ მოცემულია ჩინური კალენ-დარი 2015–2019 წლებისთვის[37] და მისი გაგრძელება 2019-2026 წლებისთვის[38] (ცხრილები 9, 10). მკითხაობისთვის ამ ცხრილს ასე გადავაკეთებთ (ცხრილი 11).

მაგალითად, გვაინტერესებს, რა სიტუაცია შეესაბამება 2024 წლის 21 ივნისის შუადღეს, რომელსაც სიმბოლურად მინ-და დავამთხვიო წიგნის გამოცემა. ეს წელიწადი დრაკონისაა, მისი რიცხვია 5. 21 ივნისი მე-5 თვის მე-16 დღეა. შევკრიბოთ ეს რიცხვები: 5 + 16 + 5 = 26. თუ ჯამი 8-ზე ნაკლებია, ის იძლევა ტრიგრამის ნომერს თანმიმდევრობაში (3). თუ ის 8-ზე მეტია, მას უნდა გამოვაკლოთ უახლოესი 8-ს ჯერადი რიცხვი: 26 – 3 x 8 = 2, ანუ ზედა/გარე ტრიგრამა არის ტუი, „ტბა“. შუადღე შეესაბამება ცხენს, უ, მისი ნომერია 7. მივუმატოთ ეს

36 Кобзев А. Канон Перемен – китайская Библия. –Наука и Религия, 1991, №2, 3, 4.

37 Цыбульский В.В. Лунно–солнечный календарь стран Восточной Азии. –М.: Наука, Гл.ред.вост.лит., 1987, 384 с.

38 Костенко А., Петушков И. Календарь на 100 лет для фен-шуй, астрологии и „Книги Перемен“. М.: София, 2011, 352 с.

წინა ჯამს: 26 + 7 = 33 და ასევე გამოვაკლოთ 8-ს ჯერადი: 33 – 4 x 8 = 1, ანუ ქვედა/შიდა ტრიგრამაა №1, ციენი, „ცა“. მთლიანობაში „ტბა“ „ცაზე“ შეესაბამება ჰექსაგრამას №43, „გასვლა“.

ცხრილი 9. 2015-2021 წლების ჩინური კალენდარი

60-წლიანი ციკლი	32	2015/16	33	2016	34	2017/18	35	2018/19	36	2019	37	2020/21
12-წლიანი ციკლი	ცხვარი		მაიმუნი		ქათამი		ძაღლი		ღორი		თაგვი	
მთვარის თვეები	დღე		დღე		დღე		დღე		დღე		დღე	
1-ლი	29	19.II	30	8.II	29	28.1	29	16.II	29	5.II	29	25.I
2-ე	30	20.III	29	9.III	30	26.II	30	17.III	30	6.III	30	23.II
3-ე	29	19.IV	30	7.IV	29	28.III	29	16.IV	30	5.IV	30	24.III
4-ე	29	18.V	29	7.V	30	26.IV	30	15.V	29	5.V	30	23.IV
ჩასმული											29	23.V
5-ე	30	16.VI	29	5.VI	29	26.V	29	14.VI	30	3.VI	30	21.VI
6-ე	29	16.VII	30	4.VII	29	24.VI	29	13.VII	29	3.VII	29	21.VII
ჩასმული					30	23.VII						
7-ე	30	14.VIII	29	3.VIII	29	22.VIII	30	11.VIII	29	1.VIII	29	19.VIII
8-ე	30	13.IX	30	1.IX	30	20.IX	29	10.IX	30	30.VIII	30	17.IX
9-ე	30	13.X	30	1.X	29	20.X	30	9.X	29	29.IX	29	17.X
10-ე	29	12.XI	29	31.X	30	18.XI	29	8.XI	29	28.X	30	15.XI
11-ე	30	11.XII	30	29.XI	30	18.XII	30	7.XII	30	26.XI	29	15.XII
12-ე	29	10.I	30	29.XII	30	17.I	30	6.I	30	26.XII	30	13.I
დღეები წელიწადში	354		355		384		354		354		384	

ცხრილი 10. 2021-2026 წლების ჩინური კალენდარი

60-წლიანი ციკლი	38	2021/ 2022	39	2022	40	2023/ 2024	41	2024	42	2025/ 2026	43	2026/ 2027
12-წლიანი ციკლი	ძროხა		ვეფხვი		კურდ-ღელი		დრა-კონი		გველი		ცხენი	
მთვარის თვეები	დღე		დღე		დღე		დღე		დღე		დღე	
1-ლი	29	12.II	30	1.II	29	22.1	29	10.II	30	29.I	30	17.II
2-ე	30	13.III	29	3.III	30	20.II	30	10.III	29	28.II	29	19.III
ჩასმული					29	22.III						
3-ე	30	12.IV	30	1.IV	29	20.IV	29	9.IV	30	29.III	30	17.IV
4-ე	29	12.V	29	1.V	30	19.V	29	8.V	29	28.IV	29	17.V
5-ე	30	10.VI	30	30.V	30	18.VI	30	6.VI	29	27.V	29	15.VI
6-ე	29	10.VII	30	29.VI	29	18.VII	29	6.VII	30	25.VI	30	14.VII
ჩასმული									29	25.VII		
8-ე	30	8.VIII	29	29.VII	30	16.VIII	30	4.VIII	30	23 .VIII	29	13ს.VIII
8-ე	29	7.IX	30	27.VIII	30	15.IX	30	3.IX	29	22.IX	29	11.IX
9-ე	30	6 .X	29	26.IX	29	15.X	29	3 .X	30	21.X	30	10.X
10-ე	29	5.XI	30	25.X	30	13.XI	30	1.XI	30	20.XI	30	9.XI
11-ე	30	4.XII	29	24.XI	29	13.XII	30	1.XII	30	20.XII	30	9.XII
12-ე	29	3.I	30	23.XII	30	11.I	29	31.XII	29	19.I	29	8.I
დღეები წელიწადში	354		355		384		354		384		354	

ცხრილი 11. ჩინური სამკითხაო კალენდარი (2015-2026 წ.წ.)

ციკლის ნიშანი	8 ვეი	9 შენი	10 იუ	11 სიუი	12 ჰაი	1 ძი	2 ჩოუ	3 ინი	4 მაო	5 ჩენი	6 სი	7 უ
საათი	13-15	15-17	17-19	19-21	21-23	23-1	1-3	3-5	5-7	7-9	9-11	11-13
წელი	2015/16	2016	2017/18	2018/19	2019	2020 /21	2021/22	2022	2023/24	2024	2025/26	2026/27
1	19.II	8.II	28.1	16.II	5.II	25. I	12.II	1.II	22. I	10.II	29.I	17.II
2	20.III	9.III	26.II	17.III	6.III	23.II	13.III	3.III	20.II /22.III	10.III	28.II	19.III
3	19.IV	7.IV	28.III	16.IV	5.IV	24.III /23.IV	12.IV	1.IV	20.IV	9.IV	29.III	17.IV
4	18.V	7.V	26.IV	15.V	5.V	23.V	12.V	1.V	19.V	8.V	28.IV	17.V
5	16.VI	5.VI	26.V	14.VI	3.VI	21.VI	10.VI	30.V	18.VI	6.VI	27.V	15.VI
6	16.VII	4.VII	24.VI/ 23.VII	13.VII	3.VII	21.VII	10.VII	29.VI	18.VII	6.VII	25.VI/ 25.VII	14.VII
7	14.VIII	3.VIII	22.VIII	11.VIII	1.VIII	19.VIII	8.VIII	29.VII	16.VIII	4.VIII	23 .VIII	13 .VIII
8	13.IX	1.IX	20.IX	10.IX	30.VIII	17.IX	7.IX	27.VIII	15.IX	3.IX	22.IX	11.IX
9	13.X	1.X	20.X	9.X	29.IX	17.X	6.X	26.IX	15.X	3.X	21.X	10.X
10	12.XI	31.X	18.XI	8.XI	28.X	15.XI	5.XI	25.X	13.XI	1.XI	20.XI	9.XI
11	11.XII	29.XI	18.XII	7.XII	26.XI	15.XII	4.XII	24.XI	13.XII	1.XII	20.XII	9.XII
12	10.I	29.XII	17.I	6.I	26.XII	13.I	3.I	23.XII	11.I	31.XII	19.I	8.I

დასკვნა. წინ, „იძინგისკენ“!

მეოცე საუკუნეში იქნა აღიარებული დასავლური და აღმოსავლური კულტურების განსხვავება: დასავლური კულტურა არის ობიექტური, ანალიტიკური, ლოგიკური; აღმოსავლური – სუბიექტური, სინთეტიკური, არალოგიკური. მათთვის დამახასიათებელია, შესაბამისად, ცნებითი და ხატოვანი აზროვნება, დამწერლობა – ანბანური და იეროგლიფური. გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს ადამიანის ტვინის ფუნქციონალური ასიმეტრიის გლობალური ასახვაა: მარჯვენა ნახევარსფერო – უფრო ძველი – უზრუნველყოფს მთლიან ხედვას, ინტუიციას, სინთეზს; მარცხენა – ლოგიკასა და ანალიზს. თუმცა ისინი ერთად უზრუნველყოფენ მთელის ცხოველქმედებას[39].

ჩვენ დროში შეიმჩნევა გადახრა რაციონალური დისკურსიული აზროვნებიდან ინტუიტიურ, მთლიანზე. აღმოსავლეთის და დასავლეთის ურთიერთგაგების მიღწევის მცდელობები იცვლება მათი სინთეზის მცდელობებით, კაცობრიობის წინაშე მდგარი გლობალური პრობლემების გადაწყვეტის იმედით. რაციონალიზმის საუკუნეების შემდეგ დაღლილი მარცხენა ნახევარსფერო მიილტვის დასვენებისკენ და შედის ურთიერთქმედებაში მარჯვენასთან. ეს ეხება არა მხოლოდ ჰუმანიტარულ, არამედ ზუსტ მეცნიერებებსაც, და ამან უნდა გახსნას უზარმაზარი პერსპექტივები მთელი კაცობრიობისთვის. ჩვენი აზრით, სწორედ ტრიგრამების სისტემა არის აღმოსავლური და დასავლური აზროვნების თავისებური სინთეზი. მაშ, წინ, „იძინგისკენ“!

39 Григорьева Т.П. И еще раз о Востоке и Западе. ИЛ, №7, 1975, сс. 241-258.

Summary

This comment to the I Ching or the „Book of Changes“ has two directions. First, following the Chinese approach that names the trigrams „ba gua“, we consider trigrams as the members of the 8-element group. We divide them into four pairs in such a way: qian- A1, kun- A2, li- M1, kan- M2, dui- S1, sun- S2, zhen- T1, gen- T2. The first two pairs of trigrams are symmetric, i.e. one trigram transforms into its mate by changing all lines to the opposite. In the other four trigrams, a trigram transforms into its mate with inversion (zhen – gen or sun-dui, and vice versa). The trigrams T1 – T2, S1 – S2 transform into each other at mirror reflection, which means a change in the direction of time. Since the two first pairs of trigrams (A1,2 and M1,2) are symmetric, they don’t depend on time direction.

Let’s carry out the structural-semantic analysis of trigrams. To say that li is fire, East, pheasant …, kan is water, West, pig … is methodically incorrect: we should say that the relation of li to kan is the same as the relation of fire to water, as East to West, etc.

As the trigrams are universal symbols describing all world situations by their combinations, we should associate with them the most general things. Thus, we relate the trigrams to the forms of motion of matter: A1, A2 – action/motion, M1, M2 – matter/substance, T1, T2 – time, S1, S2- space. Index 1 corresponds to the active, intensive (yang), and index 2 – to the passive, extensive (yin) manifestations of these forms. For example, Creation is an intensive action, and Fulfillment – an extensive one. In the material pair M1, Fire is a subtle matter (spirit, mind) and M2, Water is a dense matter (body, substance). In this conceptual space, we associate with these trigrams the additional concepts.

A1-A2: Creation-Fulfillment, Sky-Earth, Synthesis-Analysis	M1-M2: Fire-Water, Spirit-Matter, Mind-Body, Culture-Civilization, Consciousness-Unconsciousness, Gene – Cell, Software-Hardware, Eidos-Meon
S1-S2: Lake-Wind, Animal-Plant, Particle-Wave, Organism-Environment, Figure-Background	T1-T2: Lightning- Mountain, Time- Eternity, Instant time – Eternal time, Present-Past/ Future, Actual time – Potential time, Cyclic time – Linear time

Trigrams may be better understood by thinking of their oppositions from various sides; thus, the opposition „particle-wave“ adds to our consideration the quantum-mechanical overtones. This diagram has not only a pure classification purpose, but it has more deep meaning; e.g. the material trigrams li – kan are located along the axis east (dun)- west (xi) and dun-xi in Chinese means a thing. Also remember that for Descartes mind and body were the things, „res cogitans“ and „res extensa“.

In Chinese the hexagrams also are considered as the members of the group of 64 symbols – „liu-shi si gua“. In Western languages, the names of both symbols – a trigram and a hexagram – underline their structure, 3 or 6 lines. Taking into account the structure of the trigrams, we can represent them as the three-dimensional vectors: qian=(111), dui=(110), li=(101), zhen=(100), sun=(011), kan=(010), gen=(001), kun=(000). We put them in the vertices of a certain cube in the 3D coordinate system; its elementary units, orts, are two temporal trigrams (100, zhen, 001, gen) and a dense substance (010, kan). The other trigrams are compound: space is made of substance and time: dui=zhen+kan, sun=gen+kan, spirit is the sum of two times (li=zhen+gen) and creation is a sum of time and space: qian=zhen+sun=gen+dui or a sum of two kinds of matter: qian=li+kan.

The hexagrams are a result of the interaction of matter with space and time, all possible results. For example, the hexagrams of the structure AS and SA represent the action in space /action of space: S2A2-Ascending, S1A2-Advancing, A2S1-Reunion, S2A1-Opposition, S1A1-Approach, A1S1 – Exit. The hexagrams of the structure MS-SM (matter in space): S2M2- Well, M2S2 – Breaking, M2S1 – Exhaustion.

To understand I Ching more deeply and incorporate it in the Western scientific thesaurus we should translate the names of hexagrams structurally, preferably using Latin and Greek prefixes and roots. E.g. hexagram №34 with the structure A1T1 is συν-χρονοσ (syn-chron), synchronicity, i.e. synchronicity is that „great power“, that provides great forecasting force of the „I Ching“. The hexagram №24 with the structure T1A2 Fu „Return“ structurally is ανα-χρονός=anachronism (“time backward“). Since the Tang dynasty in China is called fu-gu (fu-returning, gu-antiquity), which may be understood as returning to antiquity and „returning of antiquity“, i.e. its restoration, revival, hence this hexagram is related to the epoch of Renaissance in China (Tang dynasty). It’s very interesting that the epochs of Renaissance in other countries (Italy, XIV-XVI c.c. and Georgia, X-XIII c.c.) also have some features similar to this hexagram: the pause on the second line, culmination on the fifth, and a catastrophe on the sixth line.

The other direction of the thinking about the „Book of Changes“ is an interpretation of the text itself. Based on some realia, contained in the text (hexagram №55 „Abundance“), we conclude that the most ancient layer of the book was written more than 5000 years ago, in the times of the legendary emperor Fu Hsi. Moreover, it turned out that the hexagram tells us about a solar eclipse on 2 December 3218 BC. Some hexagrams tell us about earthquakes, floods, etc. In as much as almost all ancient Chinese books contain astronomical information, it may be used for dating the texts; this method was used for dating the „Canon of Yao“.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3
შესავალი. ცოტა რამ „იძინგის“ შესახებ.....4
„იძინგის“ ტრიგრამების სისტემის თანამედროვე ხედვა .10
ტრიგრამების ვექტორული წარმოდგენა 18
ჰექსაგრამების დასახელებათა სისტემა 20
„იძინგის“ მსხვილმასშტაბიანი სტრუქტურა 25
„იძინგის“ შექმნის დრო 26
სამი „ი“ 30
„იძინგი“ როგორც სამეცნიერო წიგნი 32
დედუქცია და „დიდი დაღვრა“ 34
„იძინგი“ და აღორძინების ეპოქა 40
დასაწყისში იყო ტაო! 44
ყვითელი გზა.....47
ეკვინოქსი.....49
მიწისძვრები „იძინგში“ 53
ორმაგი საფრთხე 54
„ახალჩინური“ მეცნიერების აგების მცდელობა 55
ცოტა რამ ჩინეთის ისტორიაზე.....59
„იაოს კანონის“ დათარიღება.....62
გეოგრაფიის ისტორია 65
Zeitgeist, დროის სული 67
შვიდი-რვა 69
„იძინგი“ როგორც სამკითხაო წიგნი.....70
დასკვნა. წინ, „იძინგისკენ“! 76
Summary 77

ავტორი – ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი და ფრილანს თარჯიმანია. ეს ორი კვალიფიკაცია დაეხმარა მას ჩაწვდომოდა უძველესი ჩინური წიგნის არსში.

„ფიქრები „იძინგზე“ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი თარგმნა“ (ვ. ალექსეევი, 1937 წ.)

„ახალი წიგნის დაწერა დიდი საქმეა, რომელიც შერჩება ათას შემოდგომას; ძველი წიგნისადმი კომენტარის დაწერა დიდი გმირობაა, რომელიც შერჩება ათი ათას საუკუნეს“ (ჯან ჩაო, XVII ს.)

9 789941 345333